საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 218 (497) პარასკევი, 23 ოქტომბერი, 1992 წელი ფასი 2 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

მზად არიან

გუშინ აფხაზეთის დედაქალაქის მთავარ მოედანზე გაიმართა სამხედრო პოლიციის ბრიგადის დათვალიერება, რომელიც იმსახურებს სოხუმში, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და სოფლებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის. სწრაფი რეაგირების ქვეგანაყოფის მექანიზებული ასეულები უკვე პატრულობენ სოხუმის ქუჩებსა და საცხოვრებელ უბნებს.

სამხედრო პოლიციის სამმართველოს უფროსმა გია უჩავამ, მიიღო რა ბრიგადის მეთაურის მაიორ შაქრო ხურცაძის პატაკი, მაშინვე მოახსენა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს თამაზ ნადარეიშვილს, რომ ბრიგადის პირადი შემადგენლობა მზად არის შეასრულოს სარდლობის ნებისმიერი დავალება, იქნება ეს მაროდიორობასთან და რბევასთან ბრძოლა, თუ ჩრდილოეთკავკასიელ შეიარაღებულ ფორმირებათა თავდასხმისაგან ქალაქის დაცვა.

•

ხანძარი ქობულეთში

ეს მოხდა 21 ოქტომბერს დილით. ქალაქ ქობულეთის მეხანძრეებმა შეამჩნიეს კვამლის ბოლქვი მდინარე კინტრიშის რაიონში და დაუყოვნებლივ იქითკენ გაემგზავრნენ. ცეცხლის ალს მოეცვა ხის ნაგებობანი და ახლომდებარე ტერიტორია ნაპირის გასწვრივ. დასახმარებლად გამოიძახეს ბათუმელი კოლეგები. ორ საათნახევრის შემდეგ ერთობლივი ძალებით მოხერხდა ხანძრის ჩაქრობა. დაიწვა ორი ქოხი და ორი ხბო. ამ ფაქტს კომენტარს უკეთებს აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსი ოთარ ცინცაძე.

— იმ ადგილის მახლობლად, სადაც ხანძარი გაჩნდა, გადის ნავთობსადენი. შარშან ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მოახერხეს მისი გახვრეტა და იქიდან იპარავდნენ სოლარის ზეთს. რა თქმა უნდა, განხორციელდა შესაბამისი ღონისძიებანი. მაგრამ, როგორც ჩანს, ნავთობსადენი მაინც ჟონავდა. ახლა უკვე ნავთობის ნაკადულმა გაიკვალა გზა მდინარისაკენ, სადაც გაჩნდა კიდეც ხანძარი.

თამაზ გენძეხაძე.

•

ორმხრივი ინტერესებისათვის

საქართველოს მთავრობის აპარატთან შეიქმნა ევროპის გაერთიანების ქვეყნებიდან ტექნიკური დახმარების საკოორდინაციო ბიურო. ამასთან დაკავშირებით ევროპის გაერთიანების ტექნიკური დახმარების ეროვნულმა კოორდინატორმა, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის მინისტრის მოადგილემ მერაბ კლიმიაშვილმა თქვა:

— ბიურო კოორდინაციას გაუწევს საქართველოს ტექნიკური დახმარების პროცესს, ხელს შეუწყობს კონკრეტული პროექტების შექმნას, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება როგორც საქართველოს, ისე ევროპის გაერთიანების ინტერესები და შესაძლებლობანი.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი -მოვლენა კომენტარი

ჩვენ უნდა ვეძებოთ აფხაზებთან შერიგების წერტილები, ჩვენ ამ მიწაზე აფხაზ ხალხთან ერთად უნდა ვიცხოვროთ, მაგრამ არძინბასა და მისთანათა გარეშე. ისინი აფხაზები არ არიან. ისინი ჩვენი საერთო მტრები არიან

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სახელმწიფო საბჭოს შექმნის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში შექმნილია ურთულესი მდგომარეობა, საფრთხე შეექმნა ქვეყნის ტერიტორიულ და სახელმწიფოებრივ მთლიანობას, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას თავდაცვის სახელმწიფო საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

— საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარე (თავმჯდომარე).

— საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე — პრემიერ-მინისტრი;

— საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

— საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი;

— საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი;

— საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსი;

— საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი;

— საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის უფროსი.

2. თავდაცვის საბჭოსთან შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, აგრეთვე ინსპექტორებისა და კონსულტანტების ჯგუფები.

3. თავდაცვის სახელმწიფო საბჭოს დადგენილებები და ბრძანებები სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე განლაგებული დაწესებულებისათვის, სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციისათვის, ყველა მოქალაქისათვის;

ამ დადგენილებების და ბრძანებების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინდეს პასუხისმგებლობა სახელმწიფოსა და კანონის წინაშე.

4. თავდაცვის სახელმწიფო საბჭოს დებულების შემუშავება დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროებს.

5. თავდაცვის სახელმწიფო საბჭოს დებულება დაამტკიცოს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანი
ვ. გოგუაძე.

ქ. თბილისი, 1992 წლის 19 ოქტომბერი.

ფრონტის ხაზიდან

ვინცა აღიღოს მახვილი...

აფხაზეთი დღეს პირობითად ორ ნაწილადაა დაყოფილი: მდინარე გუმისთიდან ლესელიძემდე მონაკვეთი აფხაზ სეპარატისტებსა და კონფედერატებს უკავიათ. მეორე ნაწილი სოხუმიდან ოჩამჩირემდე ქართული მხარის ხელშია. ოჩამჩირეში ქართველები გამაგრდნენ. ტყვარჩელი სეპარატისტებსა და გადამთიელებს უპყრიათ.

ერთი სიტყვით, ომია. სამამულო ომი, რომელმაც დაწყებიდან დღემდე სისხლი და ცხედრები მოიტანა, პატარა გამარჯვებები და დიდი დამარცხების სიმწარე. და მაინც, დღეს აფხაზეთში თვლიან, რომ გადამწყვეტი ბრძოლა ჯერ კიდევ წინ არის. ასეც რომ არ იყოს, ქართველი მეომრების მხედრული სული ომში უცილობელი გამარჯვებებისათვისაა შემართული და ეს სოხუმში ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა. ასე შეკრული და ასე გამთლიანებული არასდროს ყოფილა ქართული არმია. მართალია, ჯერაც ჩამოყალიბების გზაზე შემდგარი, წელგაუმაგრებელი, მაგრამ ფაქტია, საიმედოდ დარაზმული.

ქართულმა მხარემ, რა თქმა უნდა, იცის, რომ არსებობს სოხუმის აღების გენერალური გეგმა. ამის ცოდნა აფხაზეთის ავტონომიის ტერიტორიაზე დისლოცირებული ქართული ჯარის სხვადასხვა შენაერთებს მხოლოდ ერთიანი ხელმძღვანელობის დაქვემდებარებისაკენ მოუწოდებს. ესეც იგრძნობა სოხუმში, სადაც ბოლო დროს ცოცხალი სამხედრო ძალისა და ტექნიკის უდიდესი კონცენტრაცია მოხდა.

პროფესიული არმია პროფესიული ჯარის წინააღმდეგ...

„ყველა, ვინც გაგრაში ვერაგულად დახოცეს, იყო ჩემი ნაცნობი, ახლობელი, ნათესავი და რაც ყველაზე მთავარია, იყო ქართველი, ამიტომ ყველაფერი ამის მერე აფხაზ მხარესთან მოლაპარაკება პირადად მე უზნეობად მიმაჩნია",—მითხრა ბატონმა **თამაზ ნადარეიშვილმა**, ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთის" ლიდერმა...

—მდგომარეობა მეტად რთულია, ხდება ძალების კონცენტრაცია სოხუმის მისადგომებთან, მაგრამ ამის მიუხედავად, არძინბას განცხადებები სოხუმის შტურმით აღებაზე არარეალურად მიმაჩნია. ის, რომ მოსალოდნელი შეტაკებისას იქნება დიდი მსხვერპლი, ეს არძინბას არ ესმის და არც აინტერესებს, ამიტომ მგონია, რომ მოლაპარაკების გზით, პოლიტიკურად ამ საკითხის მოგვარება ამოწურულია. პრობლემის გადაჭრის ერთადერთი საშუალება დღეს არის ძალა, რომელიც აუცილებლად უნდა დაუპირისპირდეს საქართველოს შემოსეული მტრის ძალას. გაგრა უნდა გათავისუფლდეს, რადგანაც იგი საქართველოს კარიბჭეა, საზღვარია, რომელსაც ჩვენ დღეს ვერ ვაკონტროლებთ. მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ აქვე არ იყოს გათვალისწინებული რუსის ჯარის ფაქტორიც. მე აფხაზეთი ძალად არ მიმაჩნია. ჩვენ თავს გვესხმის რუსეთის მიერ შეიარაღებული აფხაზი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი. მეტიც, მათ რიგებში იბრძვის რუსი ჯარისკაცი, ქვეითი თუ ტანკისტი. ასე რომ, ჩვენ ვებრძვით პროფესიულ ჯარს. ასეთს კი მხოლოდ პროფესიული არმიით უნდა დაუპირისპირდე. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ორგანიზებულად, მაღალი პასუხისმგებლობით, თითოეული მებრძოლის მოწესრიგებულობით მოვიპოვოთ გამარჯვება.

„დიალოგი მათი ფანდია..."

აფხაზეთში სტაბილიზაციის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარე, აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი, გენერალი გივი ლომინაძე საუბრისას მეტყვის, რომ სამი წლის მანძილზე ფუჭი ილუზიებით ცხოვრობდა ადგილობრივი ხელისუფლების ქართული ნაწი- [illegible] გვიანაა...

— ერთი რამ უნდა გაიგოს ქართველმა ხალხმა, — ბრძანა ბატონმა გივიმ, — აფხაზეთში გამარჯვების გარდა სხვა გზა ხსნისა არ არსებობს. ნუ გავაიგივებთ არძინბასთან მთელს აფხაზ ხალხს. ისტორიულად იგი ჩვენი მონათესავე და მეგობარი ერია. ხოლო არძინბა და მისი ხროვა: „აიდგილარა", „კრუნკი", „სოიუზი", „სლავიანსკი დომ" მათი ლიდერებითურთ ის ხალხია, ვინც აფხაზეთი დღევანდელ დღეში ჩააგდო. მათთან პოლიტიკური მოლაპარაკება გამორიცხულია.

ჩვენი, ადგილობრივი ხელისუფლების დანაშაული ის გახლავთ, რომ რაღაცის გამოსწორების გვჯეროდა, ისევ და ისევ დიალოგით, პოლიტიკური მოლაპარაკებით. მაგრამ აფხაზეთის სინამდვილეში ყველას გათვითცნობიერებული აქვს, რომ დღეს უკვე დიალოგი მათი ფანდია, შირმაა საიმისოდ, რომ ახალი უბედურება დაატეხონ ქართველ ხალხს. ერთი რამ უნდა იცოდეს ქართველმა ხალხმა — შამბებთან, აჩბებთან, ტოპოლიანებთან, ლოგინოვებთან, ვორონოვებთან საერთო ენა არ არსებობს. ისინი, ვინც საქართველოს წინააღმდეგ აღიღო მახვილი, მახვილითვე უნდა წარწყდნენ, სანამ ხსენებული ძალა სათავეშია და მოვლენებს მართავს, (თუმცა უკვე მათსა და აფხაზ ხალხში დიდი განხეთქილებაა) მათი მოწოდებებით მზადდება მორიგი ახალი უბედურებანი საქართველოსათვის. ეს კარგად უნდა გაიგონ კახეთში, იმერეთში, ქართლში, სამეგრელოში. განსა- [illegible]

„გახვრეტილი გროშის ფასი აქვს ერს, რომელსაც თავდაცვის უნარი არ გააჩნია"...

სოხუმში აშკარად იგრძნობა ერთიანი სამხედრო ხელისუფლება და მისდამი დამორჩილებული ძალის შედეგიც სახეზეა. მოგერიებულია რამდენიმე შეტევა ქალაქზე. აყვანილია მრავალი ტყვე...

აფხაზეთის რეგიონში მებრძოლი ძალები დღეს ერთიან ბრიგადებადაა გაერთიანებული და ერთიან სამხედრო ხელმძღვანელობას ექვემდებარება.

აფხაზეთმა ჩვენი ბიჭების გამბედაობა გამოსცადა, ხასიათის სიმტკიცე და მათი სიყვარული. ჩვენი ბიჭების თავდადება ხელუხლებელ სიმაღლეზე დარჩება კიდეც, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება მწარე მაგალითები, აქაურმა ბრძოლებმა რომ დაგვანახა. სწორედ ამიტომ არის დღეს კატეგორიული წინააღმდეგი გამოუცდელი ბიჭების ხელში იარაღის გადაცემისა ბატონი ავთანდილ ცქიტიშვილი, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი. მისი თქმით, ქართულ მხარეს გამოცდილი მებრძოლების საკმარისი ძალა გააჩნია.

— მე ვიცნობ ბევრ კარგ თბილისელ ახალგაზრდას, რომლებიც ამბობენ, რომ რცხვენიათ ქალაქში სიარული, როცა მათი თანატოლები აფხაზეთში სისხლს ღვრიან, ომში წასვლა უნდათ. რა უნდა ვუთხრა მათ? პირველ რიგში მინდა, გაიგონ, რომ სტუდენტებმა უნდა ისწავლონ, ხოლო სამხედრო გამოცდილების მქონე პირე- [illegible] ზადება უფრო უპრიანია, ვიდრე ის, რომ თბილისელი ან სხვა ქალაქელი სტუდენტობა ავყაროთ ახლა და ომში გავუშვათ, არ არის დღეს საქმე ისე, ამის გაკეთება გახდეს საჭირო. საბედნიეროდ, ომი ჯერ კიდევ ლოკალურ ხასიათს ატარებს. ჩვენ კი ომის მცოდნე, გამოცდილი ხალხი გვჭირდება. სტუდენტები, მოსწავლეები ბრძოლას შეუჩვეველი ახალგაზრდობა გადამთიელებს და ურჯულოებს არ უნდა ვუღლეტინოთ...

მე უდიდეს პატივს ვცემ თბილისელ ახალგაზრდების ასეთ შემართებას, წამოვიდეს აფხაზეთში და თავისი სამშობლო დაიცვას, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, დღეს სოხუმში აუცილებელია მხოლოდ სათანადო საბრძოლო მომზადების მქონე ძალა, რომელსაც გააჩნია იარაღით თავდაცვის ნიჭი და მრავალფეროვანი საბრძოლო ოპერაციების განხორციელების უნარი.

ბატონი ავთანდილი ახლა სინანულით აღნიშნავს: როცა სახელმწიფო საბჭოს დონეზე წყდებოდა გაწვევის საკითხი, გაუმართლებელი დადგენილება იქნა გამოტანილი. მისი აზრით, სავალდებულო სამხედრო სამსახური ორწლიანი უნდა ყოფილიყო, რადგან არმიის შექმნა საქართველოში, მხედრული ტრადიციების აღდგენა თუ ჩამოყალიბება ასე მოკლე დროში არ შეიძლება. დღეს მისი ვარაუდი, სამწუხაროდ, გამართლდა...

— ჩვენი სამხედრო სავალდებულო სამსახური საწყის ეტაპზე ორწლიანი უნდა იყოს, —მითხრა ბატონმა ავთანდილმა, — ამ საკითხის გატანა საბჭოში ვერ შევძელი, ვერ დავარწმუნე საბჭოს წევრები. მერწმუნეთ, გახვრეტილი გროშის ფასი აქვს ერს, რომელსაც თავდაცვის უნარი არ გააჩნია. გვეყოლება შეიარაღებული, ერთიანი არმია, იქნება კიდეც საქართველოში სიმშვიდე.

მომხდურს ეროვნება არა აქვს...

ბუდაუთაში ისევ ზის ბატონი არძინბა და მოკავშირეებთან ერთად მართავს მოვლენებს. სოხუმის მისადგომებთან დღითიდღე იზრდება ჩვენს მიწაზე სამტროდ, ცეცხლითა და მახვილით მოსულთა რიცხვი. არის ფაქტები, როცა ტყვედ ჩავარდნილები დანაშაულს ინანიებენ და სახლში გაშვებას ითხოვენ...

მე მომეცა საშუალება, გავსაუბრებოდი ტყვეს. მის ჩამომავლობას იქნებ არც ჰქონდეს მნიშვნელობა, რადგანაც სხვის მიწაზე საყაჩაღოდ, მკვლელად მიმხდომს ეროვნება, მით უფრო, სამშობლო არ გააჩნია.

— „ვესტი" და „ნოვოსტი" ხშირად გადასცემდა, რომ საქართველოში ომია და იქ ჩეჩნები, ყაზაკები, ადიღეები იბრძვიან. ჩამოვედი. მომცეს იარაღი. ფული? არა. სხვა არაფერია. უბრალოდ, მითხრეს, რომ თუკი ვიომებდი, საფასური იქნებოდა ქართველის ის სახლი, იქ არსებული ქონება და კარმიდამო, რომელსაც მე დავიპყრობდი...

• • •

შედარებით სიმშვიდისა და თავდაჯერების საბაბს იძლევა ის ფაქტი, რომ სოხუმის რეგიონში თავმოყრილ ყველა სამხედრო ფორმირებას დღეს ერთიანი სამხედრო ხელმძღვანელობა ჰყავს. შექმნილია სამხედრო საბჭო, რომლის წევრები არიან დიდი გამოცდილების მქონე სამხედრო პირები, პროფესიონალები. სამხედრო საბჭოს დადგენილება ყველასთვის კანონია და მისაღებია, ყველა სამხედრო შენაერთი ექვემდებარება საბჭოს. უკვე მოქმედებს სხვადასხვა დავალებების შესრულებაზე დაწესებული კონტროლის აუცილებელი მექანიზმი.

ყველა ძალა საქართველოს გადარჩენის ერთიანი ინტერესებისთვისაა მომართული.

• • •

... კატარღას სოხუმიდან გამოვყევით. შორს დარჩა დანისლული სანაპირო. სოხუმელმა მამაკაცმა ნაპირს გახედა და მითხრა: წყალში რომ ჩამაგდო, ქალაქამდე ისე გავცურავ, არ დავიღლები. აქაურობას ვის დავანებებთ! ბიჭები გვყავს ისეთი, კბილებით იჭერენ ტყვიას...

ვლადიმერ მაჩაბელი,
„საქართველოს რესპუბლიკის" სპეც. კორ.

ავტორის ფოტო.

თამაზ ნადარეიშვილი:
# არძინბას ხროს არა აქვს მოლაპარაკების უფლება

პირადად მე წინააღმდეგი ვარ შერიგებისა და იმისა, რომ კონფრონტაციის შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკება ვაწარმოოთ არძინბასთან და მისთანებთან, რომლებმაც ძმათამკვლელ ომში ჩააბეს აფხაზეთი, განაცხადა აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ თამაზ ნადარეიშვილმა, რომელიც ადგილობრივი ტელევიზიით გამოვიდა. ჩემთვის ცნობილი გახდა, თქვა მან, რომ საპარლამენტო ფრაქციის „დემოკრატიული აფხაზეთის" ზოგიერთი დეპუტატი 20 ოქტომბერს ჩემი ზურგს უკან მოლაპარაკებას აწარმოებდა აფხაზთა ფრაქციის დეპუტატებთან, რომლებიც გუდაუთიდან ჩამოვიდნენ, და მე ვგმობ ამას. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ასეთი მოლაპარაკების შემდეგ, როგორც ჩანს, აფხაზეთის უკანონო შეიარაღებული ფორმირებანი დროს იგებენ და მერე თავდასხმებით ცდილობენ გაარღვიონ ქართული გვარდიის თავდაცვა საბრძოლო მოქმედების ცხელ წერტილებში. მეორეც, გუდაუთის ხელმძღვანელობას არა აქვს მშვიდობაზე ლაპარაკის უფლება, მის სინდისზეა სისხლი. ესენი არიან მკვლელები, და არა მშვიდობისმყოფელნი. ქართველი მოსახლეობის აშკარა გენოციდისათვის მოკლული და დამწვარია ათასობით ყოვლად უდანაშაულო ადამიანი, გაძარცვულია სახლები, ისინი როგორც სახელმწიფო დამნაშავენი, საერთაშორისო სასამართლომ უნდა გაასამართლოს.

არძინბას ხროს — ეს აფხაზი ხალხი კი არა, აფხაზი ხალხის მტერია. მე ვიცნობ აფხაზებს, რომლებიც დღეს ძაძებს ატარებენ აფხაზი ექსტრემისტებისა და გადამთიელი დაქირავებულების მიერ დახოცილი ახლობელი ნათესავი ქართველების გამო. დიახ, ჩვენ უნდა ვეძებოთ აფხაზებთან შერიგების წერტილები, ჩვენ ამ მიწაზე აფხაზ ხალხთან ერთად უნდა ვიცხოვროთ, მაგრამ არძინბასა და მისთანათა გარეშე. ისინი აფხაზები არ არიან. ისინი ჩვენი საერთო მტრები არიან. ეს მათ იხმეს აქ ეგრეთ წოდებული მოხალისენი ჩრდილოეთ კავკასიიდან, რათა ებრძოლათ ქართველებს, და ამისათვის ფულს უხდიან მათ. ჩვენ გვაქვს ამის დამადასტურებელი მტკიცებულებანი. ქართველი მოსახლეობის მიმართ ვანდალიზმის, ძალადობის, თვითნებობის ფაქტები ცნობილია მხოლოდ საზოგადოებრიობის დელეგაციებისა და მისიებისათვის, რომლებიც აფხაზეთში იყვნენ.

რაც შეეხება მდგომარეობას სოხუმში და ქალაქის დაცვის საიმედოობას, თამაზ ნადარეიშვილმა თქვა: ჩვენ მალე ვიქნებით ახალ ათონშიც და გუდაუთაშიც, გაგრაშიც. აფხაზი ხალხის უფლებების შეულახავად ჩვენ წავალთ საქართველო-რუსეთის საზღვართან. ამის გარანტიაა არა მარტო სამხედრო უპირატესობა, არამედ აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის კონსოლიდაციაც, მისი ერთიანობა, რაც დადასტურდა საქართველოს პარლამენტის არჩევნების დროს.

ნომერში

● არმია მიდის: გარჩევა, რაც გვეკუთვნის. — 2
● ვინ აკლებს ფულს რესპუბლიკის ბიუჯეტს? — 2
● ტრანსაზიური მაგისტრალი გვერდს ხომ არ აგვივლის? — 3

ულოცავენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

მის აღმატებულებას ედუარდ შევარდნაძეს

ძვირფასო ედუარდ!

დიდი სიამოვნებით გიგზავნით ჩემს გულთბილ მილოცვას თქვენი ახალი გამარჯვების გამო საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევასთან დაკავშირებით.

ვამაყობ, რომ საშუალება მქონდა მემუშავა თქვენთან ერთად და დარწმუნებული ვარ, რომ ეს გამარჯვება სწორედ დიდმა სიყვარულმა და პასუხისმგებლობამ მოგიტანათ, რომელიც თქვენ გაგაჩნიათ თქვენი ხალხის მიმართ. ხალხის მიერ გამოხატულმა უდიდესმა მხარდაჭერამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩემი რწმენა.

ვიმედოვნებ, რომ თქვენი დიდი ძალისხმევა, რომელიც ეძღვნება თქვენი ქვეყნის სტაბილურობას, ეკონომიკურ განვითარებას და სამოქალაქო მშვიდობის დამყარებას, წარმატებით დაგვირგვინდება.

ნენსი უერთდება ჩემს მილოცვას. მიიღეთ ჩვენი საუკეთესო სურვილები. მოუთმენლად ველით თქვენთან კვლავ შეხვედრას.

პატივისცემით,
რონალდ რეიგანი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს

დეკრეტი

კავშირგაბმულობისა და ენერგეტიკული ობიექტების დაცვის მიზნით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

კავშირგაბმულობისა და ენერგეტიკულ ობიექტებზე ბოლო დრომდე გრძელდება შეიარაღებული ბანდების თავდასხმები. სამართალდამცავ ორგანოების მიერ ამ ობიექტების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გატარებული ზომები საკმარისი არ არის. კავშირგაბმულობის საშუალებებზე და ენერგეტიკულ ობიექტებზე თავდასხმებით გამოწვეულმა ზარალმა მილიონობით მანეთი შეადგინა, ნადგურდება სახელმწიფო ქონება.

კავშირგაბმულობისა და ენერგეტიკული ობიექტების ნორმალური ფუნქციონირებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ. 1, მუხ. 10) შემდეგი ცვლილებები:

1. 87-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 87. რკინიგზების, კავშირგაბმულობის, სატრანსპორტო საშუალებების და ენერგეტიკული ობიექტების დაზიანება

რკინიგზების, მათი ნაგებობების, მოძრავი შემადგენლობის ან გემების, კავშირგაბმულობის ან სიგნალიზაციის საშუალებების, აგრეთვე ენერგეტიკული ობიექტების განზრახ დანგრევა ან დაზიანება, რამაც საფრთხე შეუქმნა რკინიგზის, წყლის, საჰაერო ან საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობის ან ენერგეტიკული ობიექტის მუშაობის უსაფრთხოებას, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ექვს წლამდე.

იგივე ქმედობა, რომელსაც მოჰყვა მატარებლის, გემის, საჰაერო ხომალდის, საბაგირო გზის ან ენერგეტიკული ობიექტის ავარია, რასაც ადამიანის მსხვერპლი არ მოჰყოლია, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ექვსიდან ათ წლამდე, ქონების კონფისკაციით.

ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედობა, რასაც მოჰყვა მატარებლის, გემის, საჰაერო ხომალდის, საბაგირო გზის ან ენერგეტიკული ობიექტის ავარია ადამიანის მსხვერპლით ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით".

2. 227^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი $227.^1$ კავშირგაბმულობის ხაზების დაცვის წესების დარღვევა

კავშირგაბმულობის ხაზების დაცვის წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა კავშირგაბმულობის საქალაქთაშორისო მაგისტრალური, შიდაზონალური, ადგილობრივი სატელეფონო ქსელის შემაერთებელი ხაზების დაზიანება. თუ ამან გამოიწვია კავშირგაბმულობის შეფერხება,— ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე";

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანი
ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1992 წლის 21 ოქტომბერი.

საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით

ანდრეი ვლადიმერის ძე კოზირევი

დაიბადა 1951 წლის 27 მარტს ბრიუსელში, 1974 წელს დაამთავრა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი. იმავე წელს დაიწყო მუშაობა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების სამმართველოში. განვლო გზა რეფერენტიდან ამავე სამმართველოს უფროსის თანამდებობამდე.

1990 წელს დაინიშნა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრად.

საბჭოთა დელეგაციასთან ერთად არაერთხელ მიუღია მონაწილეობა გაეროს გენერალური ასამბლეის სესიებში და სხვა საერთაშორისო ფორუმებში. 1991 წელს იყო საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი ეკონომიკური და სოციალური საბჭოს სესიებზე.

იგი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატია. ავტორია მთელი რიგი წიგნებისა და პუბლიკაციებისა გაეროს საკითხებზე, განიარაღებისა და სხვა აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე. იცის ინგლისური, ფრანგული და პორტუგალიური ენა.

ჰყავს მეუღლე და ქალიშვილი.

ულოცავენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

მის აღმატებულებას ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ევროპის მსოფლიო სააგენტოს „სოხნუტისა“ და საქართველოს რესპუბლიკაში მისი წარმომადგენლობის სახელით გვსურს მოგილოცოთ თქვენ, პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მაღალ პოსტზე ერთსულოვანი არჩევა.

ამ პასუხსაგებ პოსტზე თქვენი, საქვეყნოდ ცნობილი პოლიტიკოსის, არჩევა განამტკიცებს თქვენს პოზიციებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის შენარჩუნების, პოლიტიკური სტაბილიზაციისა და ეკონომიკის აღდგენისათვის ბრძოლაში, რაც უზრუნველყოფს თქვენი მშვენიერი ქვეყნის მომავალ აყვავებას.

ჩვენ გიცნობთ როგორც ევროპის ხალხის კეთილ მეგობარს და გამოვთქვამთ რწმენას, რომ შემდგომშიც შეუწყობთ ხელს ჩვენს ხალხებს შორის, საქართველოსა და ისრაელს შორის მეგობრობის განმტკიცებასა და განვითარებას.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ყოფილ სსრ კავშირში „სოხნუტის“ განყოფილების გამგე

ბარუხ გური,

„სოხნუტის“ წარმომადგენელი საქართველოში

მიხეილ კრიხელი.

პატივცემულო ედუარდ ამბროსის ძევ,

გულწრფელად გილოცავთ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევას. გისურვებთ თქვენ და საქართველოს ხალხს ყოველგვარ სიკეთეს, ბედნიერებას, მშვიდობასა და აყვავებას.

ინგუშეთის სტუდენტთა ასოციაციის „ჩიგიტის“ გამგეობის სახელით პრეზიდენტი

ასლან კოძოევი.

ქ. ნაზრანი.

ძვირფასო ედუარდ,

გილოცავთ გამარჯვებას საქართველოს პირველ დემოკრატიულ არჩევნებში მისი დამოუკიდებლობის დღიდან.

არჩევნები ისტორიული მოვლენა იყო დემოკრატიის დამყარებისათვის თქვენს ქვეყანაში და თქვენი ხელმძღვანელობის დამაჯერებელი განმტკიცებისათვის თქვენი სამშობლოში დაბრუნების დროიდან.

კანადელმა მეთვალყურეებმა გვაცნობეს, რომ არჩევნები, მიუხედავად არსებული სირთულეებისა, მართლაც თავისუფალი და მიუკერძოებელი ხასიათისა იყო ყველა საარჩევნო უბანში. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ახლა ყოველი მხარე შეეცდება სტაბილიზაციის დამყარებას აფხაზეთში, ოსეთსა და სამეგრელოში ისე, რომ არჩევნები ამ რეგიონებშიც ჩატარდეს.

თქვენს მისასალმებელ წერილში (1992 წ. 16 ივნისი). თქვენ კიდევ ერთხელ დაამტკიცეთ თქვენი ერთგულება იმ ფუნდამენტური პრინციპებისადმი, რომელთაც ჩვენ ორივენი ვიზიარებთ, განსაკუთრებით, ადამიანის უფლებათა პატივისცემის, უმცირესობათა დაცვისა და პრობლემათა მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის პრინციპებისადმი. კანადა მზად არის დაგეხმაროთ იმ წინააღმდეგობების გადალახვაში, რომელნიც ჯერ კიდევ წინ გაქვთ.

საქართველოსადმი კანადის ტექნიკური დახმარების პროგრამა, რომელიც კონცენტრირებული იქნება დემოკრატიული განვითარების მხარდაჭერასა და უმცირესობათა უფლებების დაცვაზე, უკვე ხორციელდება. ჩვენ ასევე ვეხმარებით სამოქალაქო ბრძოლების უდანაშაულო მსხვერპლთ, უზრუნველყოფთ რა მათ მედიკამენტებით წითელი ჯვრის ორგანიზაციის მეშვეობით.

კანადა მთლიანად ემხრობა უშიშროების საბჭოს მოწოდებას აფხაზეთის რეგიონში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და 3 სექტემბრის მოსკოვის შეთანხმების პირობათა შესრულებას, რაც უზრუნველყოფს ნიადაგს პრობლემის პოლიტიკური გადაჭრისათვის. გვწამს, რომ თქვენ, აფხაზეთის წარმომადგენელნი და რუსეთის მთავრობა შეძლებთ მოძებნოთ ძალადობის შეჩერების გზები.

საუკეთესო სურვილებით პირადად თქვენი და ქართველი ხალხის მიმართ ამ ცვლილებათა პროცესში,

გულწრფელად თქვენი

ბრაიან მალრუნი,

კანადის პრემიერ-მინისტრი.

პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს

გილოცავთ არჩევნების წარმატებით დამთავრებას და მსურს მოგახსენოთ, რომ მუდამ ვლოცულობ ქართველი ხალხისთვის და თქვენს ქვეყანაში მშვიდობისა და აყვავებისათვის.

კარდინალი

აქილე სილვესტრინი.

ჩემო ძვირფასო ბატონო თავმჯდომარევ,

მთხოვეს გადმომეგზავნა თქვენთვის ეს წერილი პრემიერ-მინისტრ მეიჯორისგან და საგარეო საქმეთა მინისტრ ჰერდისგან. ვსარგებლობ შემთხვევით და ვუერთდები მათ მილოცვას არჩევნებში თქვენი გამარჯვების გამო.

გულწრფელად თქვენი

ბრაიენ ფოლი,

ბრიტანეთის საგანგებო ელჩი რუსეთში.

ბატონო თავმჯდომარევ,

გილოცავთ არჩევნებში თქვენი ხელმძღვანელობისათვის ბრწყინვალე მხარდაჭერას. ქართველი ხალხი აშკარად იზიარებს თქვენს აზრს, რომ ერთიანი და დემოკრატიული საქართველო უნდა გახდეს მსოფლიო სახელმწიფოთა ერთობის სრულფასოვანი წევრი. ძალზედ მოხარული ვარ, რომ ჩვენ კვლავ გვაქვს შესაძლებლობა ვისარგებლოთ თქვენი ბრძნული რჩევით, გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციაში იქნება ეს თუ სხვაგან. გისურვებთ წარმატებებს თქვენს ურთულეს საქმიანობაში.

პატივისცემით

ჯონ მეიჯორი.

მის აღმატებულებას ედუარდ შევარდნაძეს

გილოცავთ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევას.

თქვენმა შთამბეჭდავმა გამარჯვებამ და ქართველი ხალხის მიერ თქვენი ხელმძღვანელობისათვის საოცარმა მხარდაჭერამ დაამტკიცა თქვენი გაბედული გადაწყვეტილების სისწორე, როდესაც, მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი მერყევი მდგომარეობისა, მაინც მოაწყვეთ დემოკრატიული წინასაარჩევნო კამპანია.

გისურვებთ ყოველგვარ წარმატებებს დემოკრატიის და საბაზრო ეკონომიკის მშენებლობაში, აფხაზეთში და ოსეთში მშვიდობიანი შეთანხმებების განხორციელებაში.

მოუთმენლად ველი თქვენს საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრას აქ და თქვენს ხილვას სულ მოკლე ხანში.

პატივისცემით

დუგლას ჰერდი.

ძვირფასო ბატონო ედუარდ,

საქართველოს ისტორიაში ამ უმძიმეს და გადამწყვეტ ჟამს ნება მიბოძეთ მოგილოცოთ ბრწყინვალე გამარჯვება არჩევნებში.

თქვენი, როგორც პარლამენტის თავმჯდომარის, ხელმძღვანელობით საქართველოს ყოველნაირი საშუალება ექნება ეროვნული შერიგებისათვის, დემოკრატიის და საბაზრო ურთიერთობების მშენებლობისთვის.

ნება მიბოძეთ, ბატონო თავმჯდომარევ, მოგახსენოთ, რომ ჩვენი ბანკი ყოველნაირად დაგიჭერთ მხარს იმ სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში, რომლებიც ჩემი ამასწინანდელი ვიზიტის დროს განვიხილეთ თქვენთან. გისურვებთ წარმატებით გადაგეჭრათ თქვენი ურთულესი ამოცანები.

გულწრფელად თქვენი

ჟაკ ატალი,

ევროპის ბანკის პრეზიდენტი.

ძვირფასო ბატონო თავმჯდომარევ,

მოგესალმებით და გილოცავთ არჩევას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე. თქვენი ქვეყნისთვის ამ რთულ დროს გისურვებთ თქვენ და ქართველ ხალხს წარმატებებს თქვენს ქვეყანაში მშვიდობისა და შერიგების მიღწევის საქმეში.

მსურს მადლობა გადაგიხადოთ 1992 წლის 12 ოქტომბრით დათარიღებული თქვენი წერილისთვის, რომელიც დიდი ინტერესით წავიკითხე. ვიზიარებ თქვენს შეხედულებას ჩვენი ორი ხალხის მეგობრული ურთიერთობის თაობაზე, რომელსაც დიდი და მნიშვნელოვანი ისტორია აქვს და რომელიც უნდა გაძლიერდეს.

მტკიცედ ვუჭერ მხარს თქვენს იდეას ჩვენს ორ ქვეყანას შორის სასოფლო-სამეურნეო თანამშრომლობის შესახებ. ჩემი აზრით, ექსპერტთა ჯგუფები ჩვენი ორი ქვეყნიდან უნდა შეხვდნენ ერთმანეთს და დეტალურად განიხილონ ეს საკითხი. თქვენი წერილი გადავეცი სოფლის მეურნეობის მინისტრს მისი მხრიდან შესაბამისი პრაქტიკული ნაბიჯების გადასადგმელად.

გულწრფელად

იცხაკ რაბინი.

თუ სამართალია

სამხედრო ქონება ქართველი ხალხის საკუთრებაა

არჩევან ლომიძე,
საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილე, მთავარი სამხედრო პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ მიმდინარე წლის სამ ოქტომბერს განიხილა საკითხი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული ყოფილი საბჭოთა არმიის სასაზღვრო ჯარების, სამხედრო-სასაზღვრო ფლოტის კუთვნილი იარაღის, საბრძოლო მასალის, მიმოსვლის საშუალებების, სამხედრო ტექნიკის, სამხედრო ბაზებისა და სხვა სამხედრო ქონების საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემის მიმდინარეობის შესახებ და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

როგორც სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე აღინიშნა, დამაკმაყოფილებლად ვერ სრულდება აღნიშნულ საკითხზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 25 ნოემბრის დადგენილება, რაც გამოიწვია ყოფილი სსრ კავშირის, ამჟამად რუსეთის ფედერაციის სამხედრო უწყებათაგან ხელოვნურად შექმნილმა დაბრკოლებებმა.

სახელმწიფო საბჭომ დაავალა რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული ყოფილი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთელი ქონების რესპუბლიკის საკუთრებაში დროულად გადმოცემა და სათანადო მოვლა-პატრონობა, არ დაუშვას ამ ქონების რესპუბლიკის ტერიტორიიდან გატანა, დაზიანება ან განადგურება.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს აღნიშნული დადგენილების განუხრელად და ზუსტად შესრულების მიზნით რესპუბლიკის მთავრობამ დასახა ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რომელთა პრაქტიკულმა განხორციელებამაც უნდა უზრუნველყოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული ყოფილი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთელი ქონების რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემა. დაწვრილებით შევჩერდები ამ ღონისძიების ზოგიერთ პუნქტზე, რადგანაც მისი განუხრელი და ზუსტად შესრულებისადმი ზედამხედველობა ტერიტორიული და სამხედრო პროკურორების ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა.

რესპუბლიკის მთავრობის მიმდინარე წლის 9 ოქტომბრის დადგენილებით გაუქმებულად ჩაითვალა ამიერკავკასიის ყველა გვარეობის ჯარების, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სასაზღვრო ჯარების, ყოფილი საკავშირო შინაგანი და უშიშროების კომიტეტის ჯარების სარდლობასთან, სამხედრო ნაწილებთან და დაწესებულებებთან საქართველოს სახელმწიფო მიწის ფონდიდან გამოყოფილი მიწის ნაკვეთების, მათზე განლაგებული სამხედრო-სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ბაზების, შეიარაღების, სამრეწველო, სავაჭრო, კულტურული, სამკურნალო ობიექტების, საცხოვრებელი და სხვა დანიშნულების ძირითადი ფონდების, აგრეთვე მათ მიერ სახელმწიფო მუნიციპალური ფონდებიდან იჯარით აღებული შენობების, მიწის და სხვა ქონების შეძენის, დროებით მოხმარების ან რაიმე ფორმით დასაკუთრების მიზნით, საქართველოში მოქმედი ასოციაციების, ფირმების, ბირჟების, კორპორაციების, მუნიციპალური, სავაჭრო ორგანიზაციების, კოოპერატივების, კერძო პირების, ბანკების შემოქმედებითი კოლექტივების მიერ დადებული ხელშეკრულებანი და გარიგებანი.

რესპუბლიკის მთავრობამ აღნიშნული ქონება მფლობელისგან გადასცა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, მისი შეიარაღებული ძალების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად, სხვა მესაკუთრისთვის გასხვისების უფლების გარეშე.

ამასთან ერთად, რესპუბლიკის მთავრობამ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქისა და სასაზღვრო ჯარების რუსეთის ფედერაციის იურისდიქციაში გადასვლისა და ყოფილი სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის გაუქმებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩათვალა ამ ორგანიზაციებისათვის უკანასკნელი 70 წლის მანძილზე რესპუბლიკის მიწის ფონდიდან მუდმივი და დროებითი სარგებლობისათვის მიწის გამოყოფაზე რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებული ყველა დადგენილება და განკარგულება. გაუქმდა აგრეთვე ზემოთ აღნიშნული სამინისტროებისა და უწყებებისათვის, მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის მიწის ნაკვეთების, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფონდების გამოყოფისა და მიმაგრების შესახებ ადრე გამოცემული ყველა სახელმწიფო აქტი და ადგილობრივი მართვის ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და საიჯარო ხელშეკრულებები. აღნიშნული მიწის ნაკვეთები და ძირითადი ფონდები გადაეცა რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მუდმივ გამგებლობაში. მათი მიღება-ჩაბარების კონკრეტულ ვადებს განსაზღვრავს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო სამხედრო უწყებებთან შეთანხმებით.

საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტს, ქ. თბილისის მერიას, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, რომელთა ტერიტორიაზეც სამხედრო ნაწილებს, მათდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს გამოყოფილი აქვთ ან სხვა ფორმით უჭირავთ მიწის ნაკვეთები, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფონდები, დაევალათ რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს წარუდგინონ სამხედრო ნაწილებისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთებისა და ძირითადი ფონდების ინვენტარიზაციის მასალები თავდაცვის სამინისტროს მიწის ფონდის კადასტრის შესადგენად, მისი გამოყენების წესის დასადგენად და ძირითადი ფონდების ინვენტარიზაციისა და პასპორტიზაციის ჩასატარებლად.

ზემოაღნიშნული ქონების დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის საჭირო ღონისძიებების ჩატარების მიზნით შეიქმნა სპეციალური სამთავრობო კომისია. კომისიას დაევალა რესპუბლიკის მთავრობას წარუდგინოს დასაბუთებული წინადადებები ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის პერიოდში გამოწვეული ეკოლოგიური ზარალის ოდენობისა და მისი ანაზღაურების შესახებ.

აიკრძალა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სამხედრო ტექნიკის, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო მოწყობილობის, დანადგარების, სამშენებლო მასალებისა და კონსტრუქციების, ფოლადის, ხის, ფერადი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ნაწარმისა და ჯართის, იშვიათი წიაღისეულის, სტრატეგიული მასალების, სამშენებლო მექანიზმების გატანის მიზნით სარკინიგზო, საზღვაო, საავტომობილო და საჰაერო გადაზიდვა. საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების მთავრობებს შორის მოლაპარაკების საფუძველზე ნებადართული გადაზიდვა, მათ შორის სამხედრო უწყებების ტვირთის გადაზიდვა შეიძლება მოხდეს დადგენილი წესის მიხედვით სათანადოდ გაფორმებული საგზაო დოკუმენტების საფუძველზე მხოლოდ რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ნებართვით.

დადგინდა, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებით დისლოცირებული ამიერკავკასიაში რუსეთის ფედერაციის ჯარების ჯგუფის, ყოფილი სსრ კავშირის სამხედრო უწყებათა მიერ გამოთავისუფლებული საცხოვრებელი ფონდი გამოყენებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა და სამშობლოსათვის ბრძოლაში დაღუპულ მეომართა ოჯახების საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად.

რესპუბლიკის პროკურატურაში შემოსული მასალები, სხვა ოპერატიული მონაცემები გვიჩვენებს, რომ რესპუბლიკაში დისლოცირებულ სამხედრო ფორმირებათა ხელმძღვანელები და სხვა პირები, რომლებიც არაფრად აგდებენ საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის კანონებს, თვითნებურად გააქვთ ქვეყნიდან იარაღი, საბრძოლო მასალები, მიმოსვლის საშუალებები, სამხედრო ტექნიკა და აღჭურვილობა, საყოფაცხოვრებო და სხვა დასახელების ძვირადღირებული საქონელი, უფრო მეტიც, ყოველნაირად ცდილობენ გაძარცვული, განადგურებული, გაჩანაგებული მემკვიდრეობა დაუტოვონ რესპუბლიკას, გროშებად ყიდიან ყველაფერს, რისი გაყიდვაც კი შეიძლება მოასწრონ. მაგალითად, მერიაში, ახალციხეში, მანგლისში მთელი გადასაცემი ტექნიკა, მათ შორის ტანკები, მთლიანად გაძარცვეს და წაბილწეს, ზოგიერთი ტანკი ააფეთქეს კიდეც, ხოლო ძვირფასი ლითონები მოხსნეს და დაიტაცეს.

სამხედრო შენაერთების დისლოკაციის ადგილებში უხეშად ირღვევა ბუნებისა და გარემოს დაცვის კანონმდებლობის ელემენტარული მოთხოვნები. მიწის, წყლის, ტყის და სხვა ბუნებრივი რესურსების მტაცებლური ექსპლოატაციის შედეგად ქვეყანამ მიიღო კოლოსალური სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ზარალი. რესპუბლიკა ასეთ ზარალს მხოლოდ კიდევ უფრო დიდი მასშტაბით განიცდის ამჟამადაც.

კასპის რაიონის სოფელ ლამისყანაში დისლოცირებულ ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში 100 გრამი არყის გულისთვის ნადგურდება წლობით ნალოლიავები მრავალწლოვანი, მათ შორის უნიკალური ნარგავები. ჯარისკაცები და ოფიცრები მოსახლეობაზე ყიდიან მათ. ჩვენი მოსახლეობის ერთი ნაწილი კი ჩეხავს მწვანე ნარგა[illegible]ლებიც ხვალ თუ ზეგ მათი შვილების, ჩვენი მომავალი თაობის ჯანმრთელობას უნდა ემსახუროს.

ეს ვანდალური ფაქტები ვაცნობეთ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პროკურორს.

გახშირდა წინასწარი მოლაპარაკებით ბინების ფარულად გასხვისების, უკანონოდ გაცვლის, გამოთავისუფლებული ბინების თვითნებურად დაკავების, ბინების გაძარცვის ფაქტები. არადა, ეს ბინები იმ ჩვენი სახელოვანი მეომრების ოჯახების საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვისაა გათვალისწინებული, რომლებიც გმირულად დაიღუპნენ შიდა ქართლისა და აფხაზეთის ძირძველი ქართული მიწების დაცვისას. ამ ბინებს ელოდებიან ახალი ქართული ეროვნული არმიის მებრძოლები და მათი ოჯახები. მაგრამ ზოგიერთები, ოღონდ კი საკუთარი პირობები როგორმე გაიუმჯობესონ, არ ერიდებიან არაფერს, მათ შორის ასეთი ბინების თვითნებურად დაკავებას. ამას წინათ ქაზიანში მოსახლეობის ერთმა ჯგუფმა თვითნებურად დაიკავა სამხედროების მიერ გამოთავისუფლებული 30-მდე ბინა. ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ მოძალადეებისგან ამ ბინების გასათავისუფლებლად.

ანალოგიური ფაქტები, სამწუხაროდ, უამრავია, მაგრამ ამ ფონზე კიდევ უფრო სამწუხარო და დამაფიქრებელია ზოგიერთი პროკურორის ინერტულობა. თითქოს ეს მათ არ ეხებოდეთ. ტერიტორიული პროკურორები, ჯერაც უცდიან კანონის დარღვევის ფაქტებს.

რესპუბლიკის მთავრობის მიმდინარე წლის 9 ოქტომბრის № 984 დადგენილების განუხრელად და ზუსტად შესრულებისადმი საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერების მოთხოვნით სათანადო მითითება მიეცათ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პროკურორებს და სამხედრო პროკურორებს. ვისარგებლე რა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანადგომით, დადგენილების შინაარსის გაზეთის საშუალებით დაწვრილებით გადმოცემა იმიტომაც დამჭირდა, რომ ამ წერილის გამოქვეყნებისთანავე, რაც, ალბათ, ჩვენი დირექტივის ადგილზე მისვლამდე მოხდება, პროკურორები დაუყოვნებლივ შეუდგნენ მის რეალიზაციას, იხელმძღვანელონ ამ წერილით, სწრაფად და ოპერატიულად მიიღონ კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა რესპუბლიკის საკუთრებაში მისი კუთვნილი ქონების მთლიანად და ვარგის მდგომარეობაში გადაცემის უზრუნველსაყოფად. ეს თითოეული პროკურორის არა მარტო პროფესიული, არამედ პატრიოტული ვალიცაა. პროკურორების სწორ, მოქნილ და ოპერატიულ ღონისძიებებზე, საზოგადოებრიობასთან და სამართალდამცავ ორგანოებთან მჭიდრო კონტაქტებზე დიდად არის დამოკიდებული ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის წარმატებით დაგვირგვინება. ჩვენი ამოცანაა მთავრობის დადგენილების ყველა პუნქტი განუხრელად და ზუსტად შესრულდეს.

შემოდგომა

რთველი და საწვავი

ზურაბ არსენიშვილი.

ყვარლის რაიონში კარგა ხანია, რთველი დაიწყო, ოღონდ მისი ტემპი ჯერ მაინცდამაინც სახარბიელო ვერ არის. მიზეზი აქ მრავალია, უმთავრესი კი მაინც საწვავის უქონლობაა. გადის თვეები და შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებებისაგან დაპირებული ბენზინი არა და არ ჩანს. საზოგადოებრივი მეურნეობები იძულებულნი არიან გაყიდონ ის, რაც გააჩნიათ — პირუტყვი, მეცხოველეობის პროდუქტები, რათა ნაღდ ფულზე კომერციულ ფასებში შეიძინონ ბენზინი. ბუნებრივია, ეს გზა უფრო მეტად გააჩანაგებს საზოგადოებრივ მეურნეობათა ეკონომიკას, მაგრამ, როგორც იტყვიან, თავს ზევით ძალა არ არის.

ამ ფონზე უკეთესი ვითარებაა აგროფირმა „ავანში“, რომელიც ახალსოფლის სახელმწიფო სანერგე მეურნეობისა და ადგილობრივი ღვინის ქარხნის ბაზაზე შეიქმნა (დირექტორი იური ლომიძე). მაშინ როდესაც ზოგ სოფელში ეს-ეს არის დაიწყეს რთველი, ახალსოფელში ყურძნის კრეფა დასასრულს უახლოვდება აქ ადრევე იზრუნეს საწვავის გარკვეულ მარაგზე, მოსავლის მიღების ორგანიზაციაზე. ადრე დათქმული პირობა მევენახესა და ფირმას შორის — მოსავლის ნახევარი ბარდება ღვინის ქარხანას, მეორეს კი განკარგავს თვით მწარმოებელი. ფაქტობრივად ღვინის ქარხანაში გათვალისწინებულზე მეტი ყურძენი შედის, ვინაიდან აგროფირმა შეუფერხებლად იღებს გადასამუშავებლად „რქაწითელს“ 20, ხოლო „საფერავს“ — 25 მანეთად. ყურძნის საფასურის ორმოცი პროცენტი ჩამბარებელს მიეცემა ნაღდი ფულით, სამოცი პროცენტი კი გადაირიცხება შემნახველ ბანკში. წინასწარი ვარაუდით, ამ პირობის პირველი ნაწილის შესასრულებლად, საჭიროა 40 მილიონ მანეთზე მეტი, მისი მოპოვება კი არცთუ იოლი საქმეა.

აგროფირმის შემოსავლის ძირითადი წყარო ღვინის რეალიზაციაა, ამ საქმეში კი მრავალი სიძნელეა მოსალოდნელი, რაც მნიშვნელოვანწილად ქვეყნის რთულ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ვითარებას და, რა თქმა უნდა, თვით ყურძნის შესასყიდი ფასების ზრდას უკავშირდება. ერთი სიტყვით, აგროფირმის ხელმძღვანელობას, ისე როგორც ყველას, რთულ ვითარებაში უწევს საქმიანობა, მაგრამ რაც მეტად მნიშვნელოვანია, სადღეისოდ იგი ადგილობრივი მოსახლეობის ნდობით სარგებლობს.

ალბათ, ესეც არის მიზეზი, რომ ახალ სოფელში სამეურნეო ერთეული, აგროფირმა და რიგითი მწარმოებელი, ბარიკადის გაღმა-გამოღმა არ აღმოჩნდნენ. ამგვარი შემთხვევები კი მრავლად არის რაიონში, როცა კოლმეურნეობისა თუ მეურნეობის ხელმძღვანელთა და მოსახლეობის შეუთანხმებელი მოქმედების შედეგად ზარალდება საერთო საქმე, ჩანაგდება მოსავალი. თვეების განმავლობაში არ ცხრება ვნებათაღელვა სანავარდოსა და კუჭატანში, რომელიც ხან მიწის, ხან კი მოსავლის განაწილებას უკავშირდება. ეს უარყოფითად მოქმედებს სამეურნეო საქმიანობაზე. ლეგიტიმურ ხელისუფლებას მეტი საშუალება ექნება იზრუნოს წესრიგისათვის ცხოვრების ყველა სფეროში.

რესპუბლიკის კონტროლის პალატაში

კვლავ დარღვევები

საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატის პრეზიდიუმმა ამასწინათ იმსჯელა რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქნახშირში“ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის დოკუმენტური რევიზიის, საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაციის სამმართველოში სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ხარჯვისა და 1991 წელს მიწისძვრისაგან დაზარალებულ რაიონებში სალიკვიდაციო სამუშაოებზე რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების მიზნობრივი ხარჯვის შემოწმების შედეგების შესახებ.

რესპუბლიკურ საწარმოო გაერთიანება „საქნახშირში“ (გენერალური დირექტორი ჯ. კიზირია, მთავარი ინჟინერი ო. იმხნელი, მთავარი ბუღალტერი შ. გიორგობიანი) თავდაცვის, უშიშროებისა და ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების მიერ ჩატარებული რევიზიის შედეგად გამოვლენილია სერიოზული დარღვევა-დამახინჯებები, სახელმწიფო სახსრების არამიზნობრივი და უკანონო ხარჯვის ფაქტები.

1991 წლის 29 აპრილს მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების აღდგენითი „სამუშაოების ჩასატარებლად გაერთიანებას ზემდგომმა უწყებამ გამოუყო 5 მილიონი მანეთი. შეიქმნა კომპეტენტური კომისიები, რომელთა აქტებსა და საპროექტო რეკომენდაციებში მითითებულია შენობების დაზიანების ხარისხი და კატეგორია. რაც გაერთიანების ხელმძღვანელობამ შემდგომ საქმიანობაში მთლიანად უგულებელყო. გამოყოფილი 5 მილიონი მანეთიდან 438 ათასი მანეთი მოიხმარეს 19 ობიექტზე, რომლებიც მიწისძვრის შედეგად საერთოდ არ დაზიანებულა. კომისიების აქტებში დაფიქსირებული არ არის შახტების დაზიანების არც ერთი ფაქტი. მაშინ, როდესაც გაერთიანებას მიწისძვრის შემდგომ 3-4 დღეში გაფორმებული აქვს 21 სადეფექტო აქტი, ე. ი. შედგენილია ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შინაარსის დოკუმენტი. უფრო მეტიც, არსებული დოკუმენტებით. იმერეთის სახელობის შახტის ბრმა ჭაურის აღდგენაზე დახარჯულია 1,5 მილიონი მანეთი, მაშინ, როდესაც პროექტის მთავარი ინჟინერი რ. შალამბერიძე თავის ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს, რომ მისი აღდგენა არ დაუწყიათ და არც სამუშაო პროექტებია შესათანხმებლად დღემდე წარდგენილი. საგულისხმოა ისიც, რომ გამოყოფილი 5 მილიონი მანეთიდან ნაწილი გაცემულია კოოპერატივებზე, მცირე საწარმოებსა და იმ სახელმწიფო ორგანიზაციების ობიექტებზე, რომლებიც მიწისძვრით საერთოდ არ დაზიანებულან. ამასთან, ხშირ შემთხვევაში თანხების გადარიცხვა ხდებოდა 1991 წლის დეკემბერში, ავანსად, ჩაუტარებელ სამუშაოებზე. მაგალითად, დონეცკის მცირე საწარმოს „კონტაქტს“ საპროექტო სამუშაოებისათვის ჩაერიცხა 51 ათასი მანეთი, ხოლო კოოპერატივებს და ფირმებს 380,5 ათასი მანეთი.

შეიძლება დავასკვნათ, რომ გამოყოფილი 5 მილიონი მანეთიდან არამიზნობრივად დაიხარჯა 4 მილიონ 884 ათასი მანეთი, რაც სახელმწიფო ბიუჯეტშია გადასარიცხი.

გაერთიანებას სარევიზიო პერიოდში (1991 წლის 1 იანვარი—1992 წ. 1 ივლისი) არც ერთი ძირითადი მაჩვენებელი არა აქვს შესრულებული. განსაკუთრებით ცუდია მიმდინარე წლის 6 თვის საერთო მაჩვენებლების ანალიზი, სადაც ზარალმა 18.8 მილიონი მანეთი შეადგინა, თვითღირებულება კი 41,8 მილიონი მანეთით გაიზარდა.

შახტების მიერ ქვანახშირის მოპოვების გეგმების სისტემატური შეუსრულებლობის მიუხედავად, სარევიზიო პერიოდში ნორმის გადამეტებით ჩამოწერილია 462.2 ათასი მანეთის ღირებულების 3567,8 კუბური მეტრი ხის მასალა. ეს მაშინ, როდესაც მათი ხარჯვა ძირითადად ქვანახშირის მოპოვების დროსაა გათვალისწინებული. ხის მასალის თვის ლიმიტების გადამეტებით ჩამოწერასთან ერთად ვხვდებით კერძო პირებზე, კოოპერატივებსა და გარეშე ორგანიზაციებზე მისი მიყიდვის ფაქტებს. აღნიშნულ პერიოდში სულ გაყიდულია 120,8 ათასი მანეთის ღირებულების 1304 კუბური მეტრი ფონდირებული ხე-ტყე.

სათანადო ხელშეკრულების და ლიცენზიის საფუძველზე გაერთიანებას 1991 წლის მესამე კვარტალის ბოლოსათვის ბარტერული გაცვლის წესით, სანაცვლოდ საჭირო საქონლის შემოტანის პირობით, თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ რიზაში არსებული ფირმა „ჩივატა თიჯარეთისათვის“ უნდა მიეწოდებინა 90 ათასი ამერიკული დოლარი ღირებულების 3 ათასი ტონა ქვანახშირი. ფაქტობრივად კი ხელშეკრულების ვადის დარღვევით, მხოლოდ 1992 წლის აპრილში და ისიც არასრულად დამთავრდა ნახშირის მიწოდება, ხოლო დღეისათვის გაურკვეველია ფაქტობრივად გატანილი 21 ათასი ამერიკული დოლარის ღირებულების 701 ტონა ქვანახშირის ან მისი ექვივალენტური შემოსატანი საქონლის ბედი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მანეთის მოქმედი კურსის გათვალისწინებით, გაერთიანებიდან სანქციის სახით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადარიცხვას ექვემდებარება მილიონ 578 ათასი მანეთი.

შემოწმებით დადგენილია, რომ ელექტროენერგიის ხარჯვა გარკვეულად აძვირებს შახტების პროდუქციას, მიმდინარე წლის 6 თვეში გაერთიანებამ 1 ტონა ქვანახშირის მოპოვებისთვის სანორმო 55,3 კვ/საათის ნაცვლად 215 ანუ 159,7 კვ/საათით მეტი დახარჯა.

გაერთიანებაში ვხვდებით ხელფასების ფონდის გადახარჯვის, ხელფასის ზედმეტად დარიცხვის ფაქტებს. კერძოდ, სარევიზიო პერიოდში, ქვანახშირის მოპოვების გეგმის შესრულებასთან გაანგარიშებით, ხელფასის ფარდობითმა გადახარჯვამ 17 მილიონი მანეთი შეადგინა, ხოლო იმერეთის სახელობის შახტის მუშებისთვის მარტო ორ თვეში, განრიგებში სამუშაოების ხელოვნურად გაზრდის გზით, ზედმეტად დარიცხულმა ხელფასმა — 8,8 ათასი მანეთი.

მუშათა მომარაგების განყოფილებაში არავინ აკონტროლებს მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვის და დაცვა-შენახვის მდგომარეობას. ამის შედეგია, რომ მუშათა მომარაგების № 1 სასურსათო საწყობის მაცივარში ინვენტარიზაციის დროს აღმოჩნდა კოოპერატივების და ორგანიზაციების მიერ შემოტანილი, წერილობითი ნებართვის საფუძველზე არარეგისტრირებული, მიღება-ჩაბარების აქტებით გაუფორმებელი 2,3 მილიონი მანეთის სხვადასხვა სახის პროდუქტი: აქედან 10008 ბოთლი შამპანური — 569,3 ათასი მანეთისა, საქონლის ხორცი 7,4 ტონა — 308,8 ათასი მანეთისა, ორი დასახელების თევზი 4 ტონა — 172 ათასი მანეთისა, კარაქი 7,6 ტონა —1,2 მილიონი მანეთისა. აღნიშნული პროდუქტები არც № 1 სასურსათო საწყობს და არც ზემოაღნიშნულ კოოპერატივებს და ორგანიზაციებს ჰქონდათ შემოსავალში გატარებული. იქვე ინახებოდა აგრეთვე შემოსავალში გაუტარებელი ტყიბულის ხორცკომბინატზე რიცხული სანეპიდსადგურის ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით გაფუჭებული ორგანოლეპტიკური და ადამიანის საკვებად უვარგისი 307,6 ათასი მანეთის ღირებულების 10,6 ტონა საქონლის ხორცი. ამასთან, აღნიშნული საქონლის ხორცი ტყიბულის ხორცკომბინატს ბუღალტრულად გასავალში არ ჰქონდა ნაჩვენები და შემოწმების პერიოდში კვლავ ერიცხებოდა ნაშთად როგორც II კატეგორიის საქონლის ხორცი.

ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად № 1 სასურსათო საწყობში აღმოჩნდა შემოსავალში გაუტარებელი 28,3 ათასი მანეთის ღირებულების სხვადასხვა დასახელების სასურსათო პროდუქტები და სასმელი. გამოვლინდა 2,2 ათასი მანეთის დანაკლისიც. იმავე სასურსათო საწყობს მიმდინარე წლის ივნისში მიღებული აქვს 10 ათასი ქილა ღორის და საქონლის ხორცის კონსერვი, რომელიც ძირითადად განაწილდა № 27, № 34 და 43 მაღაზიებში, არადა, ტყიბულის 126 მცხოვრები ერთობლივ განცხადებაში აღნიშნავს, არავითარი კონსერვი მაღაზიებში არ გაყიდულაო.

წლეულს „საქნახშირის“ ზოგიერთი ობიექტის ბალანსზე რიცხულ სპილენძის შემცველ მატერიალურ ფასეულობათა ქურდობის და გაძარცვის 37 შემთხვევაც აღირიცხა. აჭრილი და მოპარულია 12760 გრძივი მეტრი კაბელი, (741 ათასი მანეთის) გაძარცვულია 9,3 ათასი მანეთის ღირებულების 14 ძრავა. გაერთიანების ხელმძღვანელობას კი დღემდე არ მიუღია გადამჭრელი ზომები დამნაშავეთა გამოსავლენად.

არასაკმარისი კონტროლის შედეგია ისიც, რომ ზოგიერთ შახტებზე დაშვებულია ასაფეთქებელი საშუალებების უყაირათოდ გამოყენების ფაქტები. მაგალითად, იმერეთის სახელობის შახტზე 1991 წელს, მთლიანად მოპოვებულ ქვანახშირზე ზედმეტად ჩამოწერილია 13274 ცალი ელექტროდეტონატორი (4,5 ათასი მანეთის), აქტი კი არ არის შედგენილი.

1990-91 წლებში გაერთიანებამ ჯერ იჯარით გასცა რამდენიმე რენტაბელური ორგანიზაცია, ხოლო შემდეგ მიყიდა იმავე მოიჯარეებს, ამასთან ხელშეკრულებები არ ითვალისწინებდა პირობას გამოსყიდვის შესახებ. ასე გაყიდულია მილიონ 136 ათასი მანეთის საბალანსო ღირებულების 4 არაზარალიანი ორგანიზაცია. ამით „საქნახშირმა“ უხეშად დაარღვია საიჯარო კანონმდებლობის მოთხოვნები, ხელი შეუწყო სახელმწიფო ქონების ფარულ პრივატიზაციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაერთიანებამ მილიონ 136 ათასი მანეთი უნდა ჩაურიცხოს რესპუბლიკის ბიუჯეტს.

კონტროლის პალატის პრეზიდიუმზე აღინიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოში საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა და მგზავრთა მომსახურება მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება.

1991 წლის 30 სექტემბერს, იურიდიული ნორმების დაუცველად გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ფირმა „ივერიას“ სამოქალაქო ავიაციისთვის უნდა შეეძინა 8 თვითმფრინავი. ანგარიშსწორება კი უნდა მომხდარიყო მხოლოდ თვითმფრინავების ჩამოყვანის შემდეგ. ფაქტობრივად ავიაციის სამმართველომ წინასწარ, შარშან 21 ნოემბერს, გადარიცხა რესპუბლიკის ბიუჯეტიდან ამ მიზნისთვის გამოყოფილი 240 მილიონი მანეთი. მიმდინარე წელს განხორციელებული დამატებითი ღონისძიებებით თვითმფრინავების შეძენის საბოლოო ვადად დადგინდა 1992 წლის 10 სექტემბერი, მაგრამ იგი კვლავ არ შესრულებულა. კონტროლის პალატის ჩარევის შემდეგ თანხა რესპუბლიკის ბიუჯეტში ჩაირიცხა.

შარშან და წლეულს სამოქალაქო ავიაციის სამმართველომ სხვადასხვა მიზეზების გამო რესპუბლიკის ბიუჯეტს დააკლო 22 მილიონ 253,7 ათასი მანეთი, ხოლო რესპუბლიკის სავალუტო ფონდს 279872 ამერიკული დოლარი.

კონტროლის პალატის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების მიერ განხორციელებული ღონისძიებების შედეგად რესპუბლიკის ბიუჯეტში და სავალუტო ფონდში უკვე ჩარიცხულია ზემოთ დასახელებული თანხები...

1991 წელს მომხდარი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოზე რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების მიზნობრივი ხარჯვისა და შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შემოწმების შედეგების განხილვისას აღინიშნა, რომ დაშვებულია სერიოზული ხასიათის ხარვეზები.

მიწისძვრის ზონის რაიონებში სულ შემოწმდა 37 მილიონ 258,5 ათასი მანეთი ღირებულების ჩატარებული სამუშაოები, რის შედეგადაც გამოვლინდა ნუსხებში 7 მილიონ 604,2 ათასი მანეთის ფაქტობრივი დანახარჯების გაზრდა. მათ შორის 2 მილიონ 605,5 ათასი მანეთის გაზრდა მოდის „საქქალაქმშენის“ № 7 ტრესტის მარნეულის სამშენებლო უბანზე (უფროსი თ. ნეფარიძე), რომელიც აღდგენით სამუშაოებს აწარმოებდა ამბროლაურის რაიონში. მათ საქმიანობაში ვხვდებით დაუწყებელი, დაუმთავრებელი და ერთეულ შემთხვევაში სამუშაოს უკანონოდ ჩატარების ფაქტები. კერძოდ, ქ. ამბროლაურში მოქალაქე ვ. ფარჯიანის (რუსთაველის ქ. № 30) სახლის გამაგრებაზე ნუსხით ნაჩვენებია ფაქტობრივად ჩაუტარებელი სამონტაჟო სამუშაო თანხით 660,1 ათასი მანეთი. მოქალაქე ე. ჯანელიძის (რუსთაველის ქ. № 52) [illegible] სახლი საჭიროებდა დანგრევას და ახლის აშენებას. სინამდვილეში არსებული გამაგრებული იქნა და აშენდა ახალი ორსართულიანი სახლიც, რომლის ღირებულებამ შეადგინა მილიონ 405,2 ათასი მანეთი.

გარდა აღნიშნული თანხისა, მოიჯარე ორგანიზაციებიდან ბიუჯეტში ამოღებას დაექვემდებარა მილიონ 740,8 ათასი მანეთი, რაც ძირითადად გამოწვეული იყო საშენი მასალების აფასებით, დაზიანებულ სახლებზე კატეგორიების არასწორი მიყენებით და სხვა მიზეზებით.

სულ ბიუჯეტში ჩასარიცხმა თანხამ შეადგინა 9 მილიონ 384,4 ათასი მანეთი, დღეისათვის კი კონტროლის პალატის მშენებლობის, არქიტექტურის და კომუნალური მეურნეობის განყოფილების მიერ ამოღებულია 5 მილიონ 500 ათასი მანეთი.

ზემოაღნიშნული სამსახურების საქმიანობაში არსებული დარღვევებიდან გამომდინარე, კონტროლის პალატის პრეზიდიუმმა რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკული სამინისტროს წინაშე დასვა საწარმოო გაერთიანება „საქნახშირის“ გენერალური დირექტორის ჯ. კიზირიას და სხვა ხელმძღვანელი და მატერიალური პასუხისმგებელი პირების თანამდებობაზე დატოვების მიზანშეწონილობისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი.

აგრეთვე გადაწყდა, რომ მათი შემოწმების და „საქქალაქმშენის“ № 7 ტრესტის მარნეულის უბნის მასალები გადაეცეს რესპუბლიკის პროკურატურას, ხოლო კონტროლის პალატის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილებას (გამგე გ. გუნავა) დაევალა ცალკე გამოჰყოს და შეისწავლოს ფირმა „ივერიის“ საქმიანობა, გაარკვიოს, რატომ ვერ შეძლო მან რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაციის სამმართველოსთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება.

კონტროლის პალატის პრესცენტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზრისი

საით გაივლის „აბრეშუმის გზა“?

გუგული მაისურაძე, საქართველოს რკინიგზის მთავარი ინჟინრის მოადგილე.

ამ ბოლო წლებში სავაჭრო ურთიერთობა საგრძნობლად გაფართოვდა სხვადასხვა კონტინენტის ქვეყნებს შორის. გაიზარდა გადაზიდვის ხარჯებიც, რამაც შექმნა ტრადიციული საზღვაო გზების ალტერნატიული ვარიანტების ძიების აუცილებლობა.

ამერიკამ, მაგალითად, თავის ტერიტორიაზე შექმნა ტვირთზიდვის სახმელეთო სისტემა „ლონგბრიჯი“ (გრძელი ხიდი), პარალელური იმ ტრადიციული საზღვაო სატრანსპორტო სისტემისა, რომელიც პანამის არხის გავლით ევროპის ქვეყნებს იაპონიასთან და შორეული აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან აკავშირებს.

აღნიშნული სატრანსპორტო სისტემით ევროპის ნავსადგურებიდან გაგზავნილი ტვირთი ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროდან სპეციალური რკინიგზის ვაგონებით გადააქვთ დასავლეთ სანაპიროს ნავსადგურებში და შემდეგ, ისევ ზღვით, შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში. რკინიგზის აღნიშნული შემადგენლობა დღეღამეში 1500 კმ-ს გადის და დიდად კონკურენტუნარიანია.

ამჟამად ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს ტრანსაზიური სატრანსპორტო სისტემის შექმნისათვის, რომელმაც რკინიგზით ჩინეთი ყაზახეთის, შუა აზიის ქვეყნების, აგრეთვე ირანისა და თურქეთის ტერიტორიებზე გავლით ევროპას უნდა დაუკავშიროს. ამ სისტემის ამოქმედება, რა თქმა უნდა, საქართველოს ინტერესებსაც ეხება. თუმცა „დიდი აბრეშუმის გზა“, რომელზეც საზღვარგარეთ ხშირად ლაპარაკობენ, მათი აზრით, რატომღაც საქართველოზე არ გადის.

საქართველოში კი „დიდი აბრეშუმის გზის“ აღდგენის მიზანშეწონილობაზე მსჯელობა არასდროს არ შეწყვეტილა. 1991 წლიდან ამ პრობლემამ წინა პლანზე წამოიწია, მას მიეძღვნა რამდენიმე სამთავრობო თათბირიც. შეიქმნა სპეციალისტთა ჯგუფი, რომელმაც ჩაატარა კომპლექსური ექსპერტიზა. სხვა საკითხებთან ერთად განხილულ იქნა საქართველოს არსებული პორტების, რკინიგზისა და ავტომაგისტრალების შესაძლებლობანი და მათი გამტარუნარიანობის გაზრდის პერსპექტივები.

თუმცა ამ საკითხზე მსჯელობისას სპეციალისტთა ერთი ნაწილი ჩვენი რესპუბლიკის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას გაზვიადებულად აფასებდა, რასაც, ისევე როგორც შეუფასებლობას, მხოლოდ უარყოფითი შედეგების მოტანა შეუძლია.

საქართველოს ტერიტორიაზე გავლით ევროპისა და აზიის შემაერთებელი სატრანსპორტო არტერიის აღდგენა-განვითარების კონცეფციის ავტორთა ჩანაფიქრით სავარაუდო ტვირთბრუნვა ფოთის პორტიდან ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის შეადგენს 175-200 მლნ ტონას წელიწადში. აქედან, მათი აზრით, რკინიგზით გადაიზიდება ტვირთის მხოლოდ 10-12 პროცენტი, დანარჩენს ავტოტრანსპორტი გადაიტანს. ამას დასჭირდება ფოთიდან საქართველოს აღმოსავლეთ საზღვრებამდე ახალი 6-ზოლიანი ავტომაგისტრალის აშენება. აღნიშნული მაგისტრალის მშენებლობას წინასწარი გაანგარიშებით 5-5,5 მლრდ დოლარი დასჭირდება, ხოლო წლიური შემოსავალი იქნება 500 მილიონი დოლარი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფოთისა და ბათუმის პორტების საერთო გამტარუნარიანობა არ აღემატება 10 მილიონ ტონას წელიწადში, 200 მილიონი ტონა ტვირთის გატარებისათვის მათი საერთო სიმძლავრე 20-ჯერ უნდა გაიზარდოს. ეს მაჩვენებელი ამ პორტებისათვის არარეალურია, თანაც მის განხორციელებას ასტრონომიული თანხა დასჭირდება. ასეთ მშენებლობას არც ერთი საზღვარგარეთული ფირმა არ დათანხმდება. ფოთის პორტის გაფართოების პროექტი ითვალისწინებს ტვირთბრუნვის ზრდას 40 მლნ ტონამდე წელიწადში.

აქედან შეიძლება დავასკვნათ: იმ ტვირთების გარდა, რომლებიც საჭიროა ჩვენს რესპუბლიკაში შემოსატანად და გასატანად, რეკონსტრუქციის შემდეგ ორივე პორტმა ერთად, შეიძლება გაატაროს 30-35 მლნ ტონა ტრანზიტული ტვირთი. ეს წელიწადის განმავლობაში 30-35 ყოველდღიური მატარებლის ტვირთია, ხოლო რესპუბლიკის ტვირთის გათვალისწინებით 40-45 მატარებლისა.

ასეთი ტვირთბრუნვა საქართველოს რკინიგზისათვის რეალურია და დიდ კაპიტალდაბანდებებთან არ არის დაკავშირებული. სამომავლოდ ტვირთბრუნვის გაზრდის შემთხვევაში (თუ პორტების სიმძლავრეები მოგვცემენ ამის საშუალებას) საჭირო გახდება ფოთი-სენაკის რკინიგზის უბანზე მეორე ლიანდაგის დაგება, ხოლო სურამის უღელტეხილზე ერთლიანდაგიანი უბნების (სულ 12 კმ-მდე) ორლიანდაგიანზე გადაყვანა. დაგვჭირდება დედაქალაქის შემოსავლელი რკინიგზის და ახალი მახარისხებელი სადგურის მშენებლობა. ყოველივე ამის შემდეგ რკინიგზას საშუალება ექნება საერთაშორისო ტრანზიტული ტვირთის გადაზიდვა წელიწადში 80-95 მლნ ტონამდე გაზარდოს.

ასეთი პროგრამის განხორციელება საშუალებას მოგვცემს ჩავერთოთ ტრანსაზიური რკინიგზების სისტემაში. ამასთან გადაზიდვიდან მიღებული შემოსავლის ნაწილი მოხმარდება ამჟამად მოქმედი ავტომაგისტრალის 4-6-ზოლიანზე გადაყვანას. ეს სამუშაო დიდი ხნის დაწყებულია, მაგრამ უსახსრობის გამო ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ექვსზოლიანი ავტომაგისტრალის აშენება ახალი ტრასით არ იქნება გამართლებული არც ეკონომიკური და არც ეკოლოგიური თვალსაზრისით. გარდა იმისა, რომ ეს მაგისტრალი დიდი რაოდენობის მიწის სავარგულებს მოითხოვს, სოფლის მეურნეობას დიდძალ მუშახელსაც წაართმევს. ეს დაკავშირებული იქნება მოსახლეობის ერთი ნაწილის საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან, რამაც შეიძლება უკმაყოფილება გამოიწვიოს.

თუ ჩვენ აქცენტს ავტოგადაზიდვაზე გავამახვილებთ, შეიძლება ტრანსაზიური რკინიგზის მაგისტრალიდან იზოლირებული აღმოვჩნდეთ. დღეს თურქეთი და ირანი დიდ ინტერესს იჩენენ ამ სისტემისადმი და პრაქტიკულ ღონისძიებებსაც ახორციელებენ მასში მონაწილეობისათვის. მათი დაკვეთით ტაშკენტის, მოსკოვის და თბილისის ტრანსპორტის საპროექტო ინსტიტუტების მიერ დაპროექტებულია და სწრაფი ტემპით შენდება ტეჯენ—სერახსის (თურქმენეთი), სერახს—მეშხეთის (ირანი) რკინიგზის უბნები. დამთავრდა ჩინეთის და ყაზახეთის შემაერთებელი რკინიგზის ხაზის მშენებლობა და ფაქტიურად გამოკვეთილია ამ უდიდესი რკინიგზის მაგისტრალის კონტური: ევროპის ქვეყნები — სტამბოლი — თეირანი, მეშხეთი — სერახსი—ტაშკენტი—ალმა-ათა — პეკინი სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში და ასიან-ის ქვეყნებში გასვლის პერსპექტივით.

აღნიშნული სარკინიგზო სისტემა, რომელიც სტამბოლი-პეკინის ფარგლებში ათი ათას კმ-ს აღემატება, დიდ კონკურენციას გაუწევს სუეცისა და პანამის არხებზე გამავალ საზღვაო გზებს.

ტრანსაზიურ რკინიგზის სისტემაში ჩართვის საშუალება ჩვენ დღესვე, ყოველგვარი კაპიტალდაბანდების გარეშე გვაქვს. რიგი ევროპული სახელმწიფოებისათვის, უპირველესად დუნაის აუზის ქვეყნებისათვის, უმოკლესი და უფრო ეკონომიური ტრანსაზიური გზის კონტური შემდეგნაირად გამოიყურება: მდინარე დუნაი — შავი ზღვა — ფოთის პორტი, შემდეგ რკინიგზით ფოთი — ბაქო — კრასნოვოდსკი (სარკინიგზო ბორანით) — აშხაბადი, რომელიც ტეჯენში შეუერთდება თურქეთიდან და ირანიდან პეკინისკენ მიმავალ რკინიგზას. სწორედ კავკასიაზე გამავალი რკინიგზები უნდა გახდეს ტრანსაზიური მაგისტრალის ძირითადი ნაწილი.

ამის ობიექტური მიზეზები არსებობს. თურქეთისა და ირანის რკინიგზები, ავტომაგისტრალებისაგან განსხვავებით, თავისი ტექნიკური აღჭურვილობით ბევრად ჩამორჩებიან საქართველოსა და აზერბაიჯანის რკინიგზებს. კავკასიაზე გამავალი რკინიგზის მაგისტრალი ფაქტობრივად მთლიანად ორლიანდაგიანი და ელექტროფიცირებულია, მოძრავი შემადგენლობა დაკომპლექტებულია დიდი ტვირთამწეობის ოთხი და რვა ღერძიანი ვაგონებით და მძლავრი ელმავლებით. თურქეთისა და ირანის რკინიგზები ყველა ამ კომპონენტში ბევრად ჩამოგვრჩებიან.

თურქეთსა და ირანს დიდი დრო და სახსრები დასჭირდებათ იმისათვის, რომ კავკასიაზე გამავალ რკინიგზებს გაუწიონ კონკურენცია, ჩვენ კი გვეძლევა საშუალება ჩვენი გზა ტრანსაზიური მაგისტრალის ძირითად რგოლად გადავაქციოთ.

ამის რეალურად განხორციელების პირობა უკვე გამოიკვეთა. ამა წლის აპრილის მიწურულს ალმა-ათაში გამართულ შუა აზიის, ყაზახეთისა და ამიერკავკასიის რეგიონების რკინიგზებისა და სხვადასხვა ასოციაციების წარმომადგენელთა შეხვედრაზე შემოიტანეს წინადადება მრავალდარგოვანი სახელმწიფოთაშორისი სატრანსპორტო გაერთიანების შექმნის შესახებ, რომელიც ორგანიზაციას გაუწევს საექსპორტო-საიმპორტო ტვირთის რკინიგზებით გადაზიდვას ყაზახეთისა და შუა აზიის სახელმწიფოებს, ფოთისა და ბათუმის პორტებს შორის. შემოთავაზებული ტვირთის რაოდენობა 40 მლნ ტონას აჭარბებს წელიწადში. სამწუხაროდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენს პორტებს ამ რაოდენობის ტვირთის გატარების საშუალება არ გააჩნიათ. დღეისათვის ფოთის პორტში და მის მიმდებარე სადგურებში ათასამდე ვაგონია დაუცლელი.

ტრანსპორტის სახეობის არჩევისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ ენერგეტიკული წყაროების მზარდი დეფიციტის პირობებში ბევრი სახელმწიფო და მათ შორის ისეთი ავტომობილიზებული სახელმწიფოც კი, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, პრიორიტეტს დიდ მანძილზე გადაზიდვაში რკინიგზებს ანიჭებენ.

სამრეწველო საწარმოთა მოწყობის ექსპერტების საერთაშორისო აქციონერული საზოგადოების ერთ-ერთი წამყვანი წარმომადგენლის, შვედი მეწარმის კარლ არნე ვინერლევის აზრით მომავალში ევროპა ყურადღებას გადაიტანს რკინიგზების განვითარებაზე. მისი და სხვა სპეციალისტების აზრით რკინიგზა ყველაზე საიმედო და მოსახერხებელი გადაადგილების საშუალებაა. ამას გარდა ჩქაროსნული რკინიგზების მშენებლობა გაცილებით იაფია ავტოსტრადებთან შედარებით. მათი ანალიზის მიხედვით მატარებლებზე ენერგიის ხარჯი შეადგენს ავტოტრანსპორტზე მისი ხარჯის მეათედს, ავარიების სიხშირე კი რკინიგზაზე ნაკლებია ავტომობილებზე მისი სიხშირის ერთ მეასედზე.

მარტო ავტოავარიებში დასახიჩრებული ადამიანების მოვლა-პატრონობაში მოწინავე სახელმწიფოებს მთელი შემოსავლის 2,5 პროცენტი ეხარჯებათ.

ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტის, „ეკონომიკური ზრდისათვის“ საერთაშორისო ფორუმის მდივნის სტეფან სვერდის აზრითაც მომავალში უპირატესობას რკინიგზებს მიანიჭებენ და არა ავტომობილების ქსელის გაფართოებას.

ჩვენ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მსოფლიოს ეკონომისტების წრეში გავრცელებული ზემოთ აღნიშნული აზრი, აგრეთვე ის პრიორიტეტები, რომლებიც ჩადებულია თანამედროვე საკომუნიკაციო კონცეფციებში ამა თუ იმ სატრანსპორტო სისტემების შექმნის დროს.

დღეს ევროპის და აზიის ქვეყნებს ერთმანეთთან რამდენიმე ალტერნატიული საზღვაო და სახმელეთო სატრანსპორტო სისტემა აკავშირებს. ჩვენ თუ სატრანსპორტო სახეობის არასწორი არჩევანი გავაკეთეთ, შეიძლება დრო დავკარგოთ და „დიდმა აბრეშუმის გზამ“ გვერდზე ჩაგვიაროს.

CELTICS WIN GAME 5 C1
SNEAKER STINK-OFFS, ETC. E1
LIVELY BOOK ON BARRY
The Washington Times
MONDAY
WASHINGTON, D.C.

გაზეთ „ვაშინგტონ ტაიმსის“ ფურცლებზე

ამას წინათ ამერიკის ცნობილ გაზეთ „ვაშინგტონ ტაიმსში“ გამოქვეყნდა ლალი ბეილის სტატია. წერილი იმდენად აქტუალურია, რომ დღეს, როდესაც რუსეთის რეაქციულმა ძალებმა დაარღვიეს მოსკოვის 3 სექტემბრის ხელშეკრულება, ნათელი ხდება თუ რა მუხანათ მოქმედებასთან გვაქვს საქმე. აფხაზმა სეპარატისტებმა და მათ მიერ დაქირავებულმა, გაწვრთნილმა მკვლელებმა ანუ რუსეთის მოქალაქეებმა ჩრდილო კავკასიიდან არნახული სისასტიკე ჩაიდინეს საქართველოში. მათ ქალაქ გაგრაში ათობით მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობა სტადიონზე გაიყვანეს, დახვრიტეს და შემდეგ კი ცეცხლს მისცეს მათი გვამები. მსოფლიომ მართლაც უნდა იცოდეს სრული სიმართლე, თუ რა ხდება საქართველოში, იქნება ეს სამაჩაბლო თუ აფხაზეთი.

ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ იქნება ის ფაქტი, რომ ამ სტატიის ავტორი გახლავთ ამერიკაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე ლალი ბეილი-ერისთავი. ქალბატონი ლალი ქალაქ ვაშინგტონში ცხოვრობს და იქვე უნივერსიტეტში ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი უხმაუროდ დიდ პატრიოტულ, ქართულ საქმეს აკეთებს, საქმეს, რომელიც ასე სჭირდება დღეს საქართველოს.

როგორც ცნობილია, ამერიკისა და ევროპის საინფორმაციო საშუალებანი, ეყრდნობიან რა, სამწუხაროდ, რუსეთის „ვესტისა“ და „ოსტანკინოს“ მიერ გადაცემულ ცილისმწამებლურ ცნობებს, ამახინჯებენ სიმართლეს და მსოფლიოს მცდარ, არასწორ აზრს უქმნიან საქართველოზე. ამიტომ საკმარისია ამერიკის პრესის ფურცლებზე ან ტელეგადაცემებში რაიმე არაობიექტური ცნობა გამოქვეყნდეს საქართველოს შესახებ, რომ ქალბატონი ლალი ერისთავი-ბეილი პროტესტს უცხადებს საქვეყნოდ ამა თუ იმ მოვლენის გაშუქებას.

აი, ერთი მათგანი, რომელსაც ქართველ მკითხველს ქვემოთ ვთავაზობთ.

ვიქტორ მესხიშვილი,
ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტის დოცენტი.

„რას ვიტყოდით ამერიკელები, მაიამის კუბასთან შეერთება რომ მოეთხოვა“?!

ქართველთა პოლიტიკურმა ლიდერმა ედუარდ შევარდნაძემ ბრალი დასდო რუსეთს ამჟამინდელ სამხედრო აგრესიაში საქართველოს წინააღმდეგ. ედუარდ შევარდნაძემ გაერთიანებულ ერებს, ნატოს და სხვა ორგანიზაციებს მიმართა, არ დაუშვან რუსეთის ძალთა ფართო ინტერვენცია მის სამშობლოში.

რუსეთის ვიცე-პრეზიდენტმა ალ. რუცკოიმ ამ მიმართვას კანონის დარღვევა უწოდა.

კანონის დარღვევა კი სწორედ ის ფაქტია, რომ ზოგიერთი რუსი პოლიტიკოსი ზურგს უმაგრებს ე. წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტებს საქართველოში, რომელთაც სურთ რუსეთის ტერიტორიაზე არსებულ ჩრდილო ოსეთთან შეერთება.

წითელი არმიის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაციის შემდეგ 1921 წ. ბოლშევიკებმა ძალით ჩამოაყალიბეს სამხრეთ ოსეთის რეგიონი. ამის ხელშემწყობი პირობა იყო ასევე მცირერიცხოვან ოსურ ახალმოსახლეთა არსებობა ამ ტერიტორიაზე.

ამ ღონისძიებამ გზა გაუხსნა ბოლშევიკთა პოლიტიკის „დაყავი და იბატონეს“ ფართო გავრცელებას ყოფილი საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე.

ცხადია, ოსი ლიდერები შეცდომაში იქნენ შეყვანილი აწ განსვენებულ ანდრეი სახაროვის მიერ, რომელიც არსებულ საკითხში ღრმად ჩახედული ვერ აღმოჩნდა და 1989 წელს საქართველოს „პატარა იმპერია“ უწოდა, რომელიც მოიცავს ოსეთს, აფხაზეთს და სხვა ეთნიკურ ჯგუფებს“. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება და უნდა ითქვას, რომ საქართველოს ძირძველი ტერიტორიები უსამართლოდ დაურიგეს მეზობლებს იოსებ სტალინმა და მისმა მიმდევარმა კომუნისტებმა.

ოსურ მოსახლეობას ე. წ. სამხრეთ ოსეთში ყოველთვის ჰქონდა კულტურული ავტონომია — საგანმანათლებლო კერები, საინფორმაციო საშუალებანი, თეატრი და საერთოდ, ცხოვრების ყველა პირობის სიკეთით სარგებლობდნენ — მაშინ, როდესაც მათი თანამემამულეები ჩრდილო ოსეთში (რუსეთი) თითქმის რუსიფიცირებულნი არიან.

მე მინდა ვკითხო იმ ამერიკელებს, რომლებიც გმობენ საქართველოს „არაკეთილმოსურნეობას“ — დაუთმოს ხიზნებს თავისი მიწები უძველესი ქართული ქრისტიანული ძეგლებითურთ, როგორ ხასიათზე დადგებიან ან რას იტყვიან, უახლოეს ოცი წლიწადში მაიამიში მცხოვრებმა კუბელებმა რომ კუბასთან შეერთება მოითხოვონ?

ლალი ბეილი-ერისთავი.
ოქროს საწმისის, ამერიკულ-ქართული კულტურისა და ბიზნესის ცენტრის დირექტორ-განმკარგულებელი.
ვაშინგტონი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს

დეკრეტი

საქართველოს რესპუბლიკაში მიწის რეფორმის განხორციელების, სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რეორგანიზაციის შესახებ

საადგილმამულო ურთიერთობების შემდგომი განვითარების, მიწების პრივატიზაციის, მოქალაქეთათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის პროცედურის სრულყოფის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო **ადგენს:**

1. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების პრივატიზაცია განხორციელდეს მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დეკრეტის შესაბამისად.

2. დაწესდეს, რომ მიწის პრივატიზაციის შედეგად მიწების გადანაწილების გადაწყვეტილებებს იღებენ ადგილობრივი მმართველობის ორგანოები მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით.

3. სახელმწიფო მეურნეობები, კოლმეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ვალდებული არიან 1992 წელს განახორციელონ რეორგანიზაცია. თავიანთი სტატუსი შეუსაბამონ საქართველოს რესპუბლიკის „სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ“ კანონს და ხელახლა გატარდნენ რეგისტრაციაში სათანადო ორგანოებში.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რეორგანიზაციის წესი.

4. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დაამტკიცოს იმ სახელმწიფო მეურნეობათა ნუსხა, რომლებიც არ ექვემდებარებიან ამ დეკრეტის მოქმედებას.

ამასთან, საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საწარმოების საკუთრების ფორმისა და უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, უზრუნველყოს დარგში ერთიანი სახელმწიფო სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოლიტიკის გატარება, სახელმწიფო შეკვეთების შესრულება და დელეგირებულ უფლებათა ფარგლებში სახელმწიფო მეურნეობების მართვა.

5. სახელმწიფო მეურნეობებმა, კოლმეურნეობებმა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებმა, რომლებიც მიწას იყენებენ უვადო (მუდმივი) სარგებლობის უფლებით, 1992 წლის 1 დეკემბრამდე მიიღონ გადაწყვეტილება საკუთრების კერძო, კოლექტიურ-წილობრივ და სხვა ფორმებზე გადასვლის შესახებ. ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა უზრუნველყონ მიწის მესაკუთრე მოქალაქეებისათვის საკუთრების უფლების შესაბამისი მოწმობების გაცემა, რომლებსაც აქვთ კანონიერი ძალა ამ უფლებების დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემამდე.

6. კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობებში, რომელთა ბაზაზეც უნდა შეიქმნას საკუთრების კერძო, კოლექტიურ-წილობრივი და სხვა ფორმებზე დამყარებული მეურნეობები, მუშაკებისათვის მიწის ნაკვეთების გადაცემის პროცედურის გასამარტივებლად ყველა სასოფლო-სამეურნეო საწარმომ (გარდა სასწავლო, საცდელ-ექსპერიმენტული და რესპუბლიკის მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა მეურნეობებისა) განსაზღვროს მიწის მასივები, რომლებიც ექვემდებარება ახლად შექმნილი სამეურნეო ფორმებისათვის პირველ რიგში გადაცემას.

ამასთან დაკავშირებით, მეურნეობათა ხელმძღვანელებმა და კომისიებმა მიწაზე მეურნეობრიობის ახალი ორგანიზაციული ფორმის შექმნის თაობაზე განცხადების შეტანის დღიდან ერთი თვის ვადაში განიხილონ და მიიღონ გადაწყვეტილება მუშაკისა და მისი ოჯახის წევრთა კუთვნილი მიწის ნაკვეთების ნატურით გამოყოფის შესახებ.

7. საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მათმა ადგილობრივმა ორგანოებმა მიიღონ გადამჭრელი ზომები მიწის კანონმდებლობის დარღვევის, საქმის გაჭიანურებისა და მიწის რეფორმის საკითხების გადაწყვეტაში სამართალდარღვევათა ფაქტების აღმოსაფხვრელად. უფლება მიეცეთ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის კომიტეტებს — შეაჩერონ მმართველობის რაიონული და საქალაქო ორგანოების არამართლზომიერი გადაწყვეტილებები, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტმა შეაჩეროს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არამართლზომიერი გადაწყვეტილებები მიწების ამოღებისა და გაცემის თაობაზე შესაბამის ორგანოებში მათ განხილვამდე.

8. რეკომენდაცია მიეცეთ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შექმნან მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის კომიტეტებთან მიწის რეფორმის საზოგადოებრივი საბჭოები მიწის რეფორმასთან დაკავშირებული საკითხების გამო წინადადებების მოსამზადებლად და მმართველობის ადგილობრივ და რესპუბლიკურ ორგანოებში წარსადგენად.

9. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოებმა გაატარონ კანონით გათვალისწინებული ზომები, რათა სამეურნეო ხელმძღვანელების განკარგულებები და ნორმატიული აქტები შესაბამისობდეს მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დეკრეტის მოთხოვნებს.

10. ამ დეკრეტის შესრულების კონტროლი დაეკისროთ საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს აგრარულ საკითხთა კომისიას.

შესრულების მიმდინარეობა სახელმწიფო საბჭოს მოხსენდეს ყოველთვიურად.

11. დეკრეტი ძალაში შედის მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანი
ვ. გოგუაძე.

თბილისი. 1992 წლის 21 ოქტომბერი.

ფაქტის კომენტარი

იზრდება ელექტროენერგიის დეფიციტი

ჩრდილოეთ ოსეთში გაზსადენზე მომხდარი ავარიის გამო მკვეთრად შემცირდა გაზის მიწოდება თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურისათვის. 21 ოქტომბრის ნაშუადღევს საათის განმავლობაში სადგური იღებდა სულ 60-65 ათას კუბურ მეტრ გაზს — თითქმის სამჯერ ნაკლებს ჩვეულებრივთან შედარებით. არსებული მაზუთის მარაგი კი სადგურის ნორმალური მუშაობისათვის საკმარისი იქნება მხოლოდ დღის დამლევამდე. ეს საქინფორმის კორესპონდენტს თენგიზ ხნიკაძეს უთხრა რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქენერგოს“ მთავარმა ინჟინერმა ლერი ძნელაძემ.

— შექმნილი ვითარება, — თქვა მან, — გვაიძულებს გადავიდეთ მუშაობის უფრო მკაცრ რეჟიმზე. სანამ სიტუაცია არ გაუმჯობესდება, იძულებული ვიქნებით რამდენიმე საათის განმავლობაში გამოვრთოთ ხოლმე მთელი რაიონებიც კი. გაზის დეფიციტი ასეთ მძიმე მოქმედებას არ მოახდენდა, დაზიანებული რომ არ იყოს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები, რომლებითაც ენგურჰესი აღმოსავლეთ საქართველოს უკავშირდება. ძმები ქობალიები და მათი თანამზრახველი ბანდიტები არ გვაძლევენ შესაძლებლობას განვახორციელოთ აღდგენითი სამუშაოები. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ისინი ვერ აულაგმიათ. პრაქტიკულად იმის გამო, რომ არ არის ქვესადგურებთან კავშირის ხაზები, აგრეთვე ისეთ სადგურებთან, როგორიცაა ლაჯანურის, ენგურჰესის კასკადი და, პერიოდულად, ვარციხის ჰესი, მოკლებული ვართ შესაძლებლობას უზრუნველვყოთ მთელი სისტემის მუშაობის ცენტრალიზებული მართვა.

შენ, სისხლო ჩემო...

გორელ ჰემატოლოგთა საქები საქმიანობა

დასავლეთ საქართველოში ახლა სისხლი იღვრება, გამოჰყავთ დაჭრილები და რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქების სამკურნალო დაწესებულებებში გზავნიან. მათ დახმარებას გორელი ჰემატოლოგებიც უწევენ. სწორედ მათ საქმიანობაზე გვინდა მოგითხროთ.

— უკანასკნელ ხანებში, — გვითხრა სადგურის მთავარმა ექიმმა მზია ბორტიშვილმა, — ჩვენმა სადგურმა საგრძნობლად გაზარდა სისხლის, მისი კომპონენტებისა და სისხლის შემცვლელი პრეპარატების წარმოება. და მაინც, ანტისტაფილოკოკური პლაზმის დამზადება, რომლისგანაც მიიღება ფრიად დეფიციტური პრეპარატი ანტისტაფილოკოკური იმუნოგლობულინი, კოლექტივის საქმიანობის მთავარი მიმართულება გახდა.

— პლაზმა ადრე რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან შემოგვქონდა, — საუბარს აგრძელებს მთავარი ექიმის მოადგილე კობა ჭიღლაძე, — ახლა ეს ყველაფერი გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ამიტომაც მისი ადგილზე დამზადება საშურ საქმედ აღვიქვით. იგი ფართოდ გამოიყენება სამკურნალო დაწესებულებებში, მაგრამ ანტისტაფილოკოკური პლაზმის ერთი უარყოფითი თვისება ის გახლავთ, რომ ხანგრძლივად ვერ შეინახავ, გაყინულ მდგომარეობაშიც კი მისი ვარგისიანობის ვადა 100 დღეს როდი აღემატება, ამიტომაც ანტისტაფილოკოკური იმუნოგლობულინი, რომელიც სადგურის სამედიცინო კოლექტივმა ეს-ეს არის გამოიყვანა, პრესტიჟულ საქმედ მიგვაჩნია, ამასთან მისი „სიცოცხლისუნარიანობა“ 4-5 წელია, ანტისტაფილოკოკური პლაზმისაგან განსხვავებით, ადვილად იტანს ტრანსპორტირებას, რაც ასევე მნიშვნელოვანია.

თუ იმასაც დავუმატებთ, რომ პლაზმა სისხლისაგან მიიღება, ადვილი გასაგებია, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სადგურის კოლექტივი დონორობას, სისხლის გადასხმის საქმის სწორ ორგანიზაციას. ამ მიზნით გორელი ჰემატოლოგები ხშირად აკითხავენ ქართლის რაიონების შრომით კოლექტივებს.

ამ დღეებში უსასყიდლოდ გაიღო 22 ლიტრი სისხლი გორის ბამბეულის ქსოვილების საწარმოო-სამკერვალო გაერთიანების (გენერალური დირექტორი მერაბ ნიჟარაძე) 100-მა მუშა-მოსამსახურემ, 20-20 ლიტრი სისხლი მისცეს სახელმწიფოს ქალაქის განათლების განყოფილებისა (გამგე ლერი პაპუაშვილი) და სახელმწიფო საკუთრების დაცვის პოლიციის (უფროსი რობინზონ სამადალაშვილი) თანამშრომლებმა.

ჩვენ მხოლოდ გორის სისხლის გადასხმის რესპუბლიკურ სადგურში მიღებულ და წარმოებაში ჩაშვებულ ერთ პრეპარატზე გიამბეთ. ამის გარდა მხოლოდ აქ 13 დასახელების სისხლის შემცვლელი და მარილოვანი ხსნარები მზადდება.

სადგურის პროდუქციას რესპუბლიკის სამედიცინო დაწესებულებებში მოუთმენლად მოელიან.

გურამ ვაშაკიძე,

ელცინის ბედი მართლა ბეწვზე ჰკიდია?!

ბოლო ხანებში, განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მოახლოებასთან დაკავშირებით დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოები, პრესა, რადიო, ტელევიზია ხაზს უსვამენ, რომ რუსეთში აშკარად ინტენსიურად მზადდება სახელმწიფო გადატრიალება, თუმცა იგი მოხდება „კონსტიტუციის ფარგლებში“ სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე, რომელიც პირველ დეკემბერს დაიწყება, და რომ ამ სამზადისს სათავეში უდგას რუსეთის პარლამენტის სპიკერი რუსლან ხასბულატოვი.

უკანასკნელი დროის ფაქტები ადასტურებენ ამას.

რეაქციულმა ძალებმა წააქეზეს კავკასიის ხალხთა კონფედერაცია თვით რუსეთსაც ახალი დიდი კავკასიური ომით დამუქრებოდა; რუსეთის პარლამენტის 25 სექტემბრის უხეში აქცია საქართველოს წინააღმდეგ. პრეზიდენტ ელცინზე დიდი მეტევის „საარტილერიო მომზადება“ იყო; ჩაიშალა რუსეთის პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 13 ოქტომბრისათვის ნავარაუდევი შეხვედრა და ა. შ.

რუსეთის დემოკრატიული და რეაქციული ძალების დაპირისპირების კიდევ ერთი უპრეცედენტო მაგალითია უცხოელი ჟურნალისტების წინაშე 16 ოქტომბერს სახელმწიფო მდივნის გენადი ბურბულისის, მინისტრების: ანდრია კოზირევისა და ანატოლი ჩუბაისის გამოსვლა, მათ დაადანაშაულეს რუსეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე რუსლან ხასბულატოვი და დეპუტატთა კორპუსის ნაწილი სახელმწიფო გადატრიალების მზადებაში. რუსეთის პარლამენტში ამ საკითხის განხილვამ ცხარე დისკუსია გამოიწვია. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა საქმის ვითარების გარკვევა და ამ საკითხის სპეციალური სესიისათვის მომზადება.

პრეზიდენტ ბორის ელცინისათვის მძიმე დარტყმა იყო 21 ოქტომბრის პარლამენტის გადაწყვეტილება არ გადაიტანონ სახალხო დეპუტატთა მეშვიდე ყრილობა მომავალი წლის მარტ-აპრილისათვის.

დასავლეთის საინფორმაციო სააგენტოები აღნიშნავენ, რომ ხასბულატოვი მეთაურობს პარლამენტში ახლახან შექმნილ ძლიერ დაჯგუფებას „ეროვნული ხსნის ფრონტს“, რომელიც პრეზიდენტის იმპიჩმენტითაც კი იმუქრება, რომ ამ მძლავრ დაჯგუფებას ბევრი დემოკრატიულად განწყობილი გავლენიანი ჯგუფი მიემხრო, რომლებიც ადრე პრეზიდენტს უჭერდა მხარს და ახლა პრეზიდენტს და მთავრობას სასტიკად აკრიტიკებს. დემოკრატების გათიშვით (მათი ერთიანობა აქამდეც ეფემერული იყო) კიდევ უფრო გაძლიერდა პრეზიდენტისა და მთავრობის მოწინააღმდეგეთა მრავალსახოვანი სადეპუტატო მოზაიკა, დაწყებული ე. წ. „წითელყავისფერებიდან“ ორთოდოქსალური კომუნისტების ჩათვლით. შუალედური ცენტრისტული პოზიცია უკავია ძლიერ დაჯგუფებას — „სამოქალაქო კავშირს“, რომელსაც სათავეში უდგანან არკადი ვოლსკი, ალექსანდრე რუცკოი, ნიკოლოზ ტრავკინი. როგორც დასავლეთში აღნიშნავენ, მათ პოზიციას შეუძლია გადაწყვიტოს დღევანდელი ხელისუფლების ბედი. იმასაც მიუთითებენ, რომ პრეზიდენტი ბორის ელცინი სულ უფრო მეტ ანგარიშს უწევს ამ დაჯგუფების ხელმძღვანელობას, რომელსაც მთელ რიგ საკითხებში პრაგმატული პოზიცია უკავია და მკაცრად აკრიტიკებს მთავრობის შეცდომებს, თუმცა ჯერჯერობით მის გადადგომას აშკარად არ მოითხოვს.

შექმნილ სიტუაციაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია უცხოეთში ინციდენტმა, რომელიც რუსეთის პარლამენტში 21 ოქტომბერს მოხდა, როცა სპიკერმა ხასბულატოვმა თავი შეუძლოდ იგრძნო და სესია დატოვა, რუსეთის ტელევიზიამ და რადიომ გამოაცხადა, რომ სპიკერი გადაიღალა და სისხლის წნევამ აუწია. პარლამენტის პრეს-ცენტრის ცნობით, რომელიც გამოაქვეყნეს დეპუტატ დენისენკოს მტკიცებასთან დაკავშირებით („რუსლან ხასბულატოვი სამუშაო საათებში ძლიერ ნარკოტიკულ-ალკოჰოლურ მდგომარეობაშია“), ნათქვამია, რომ უკიდურესი გადაღლილობის გამო (დღე-ღამეში 16-17 საათი), მას წნევამ აუწია. ექიმებმა დაუდგინეს წნევა 180-110. რუსეთის პარლამენტის დილის სხდომას რ. ხასბულატოვი არ დასწრებია და მას უძღვებოდა სპიკერის მოადგილე იური ვორონოვი. სესიამ დაიწყო საერთაშორისო საკითხების განხილვა. მოელიან სესიაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ანდრია კოზირევის გამოსვლას.

ირაკლი ჯაფარიძე.

კარიკატურისტის კომენტარი


ბორის! ფეხქვეშ სამარეს გითხრიან!
სამუშაოებს აწარმოებს რუსეთის პარლამენტი

მხატვარი მურთაზ აბაშიძე.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ვიზიტი დამთავრდა

ოთხშაბათს დამთავრდა მექსიკაში რუსეთის უზენაესი საბჭოს დელეგაციის ვიზიტი, რომელიც აქ იმყოფება მექსიკის ეროვნული კონგრესის (პარლამენტის) სენატის მოწვევით. დელეგაცია, რომელსაც რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ს. ფილატოვი მეთაურობს, მიიღო მექსიკის პრეზიდენტმა კარლოს სალინას დე გორტარიმ. გაიმართა აზრთა გაზიარება თითოეული ქვეყნის უაღრესად აქტუალური პრობლემებისა და ორმხრივი ურთიერთობის შესახებ. დელეგაციის მეთაურმა მექსიკის ხელმძღვანელს აცნობა, რომ ბორის ელცინი „აპირებს ვიზიტად ეწვიოს მექსიკას 1993 წლის პირველ ნახევარში“.

შეხვედრა პარიზში

საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარე ანრი ემანუელი ოთხშაბათს სალამოს საფრანგეთის დედაქალაქში შეხვდა სომხეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბაბკენ არარქციანს. როგორც საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატის ოფიციალურმა წარმომადგენელმა თქვა, საუბრის დროს ა. ემანუელმა და ბ. არარქციანმა განიხილეს პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია სომხეთში, აგრეთვე მთიანი ყარაბაღის პრობლემა „მის რეგიონულ და საერთაშორისო ასპექტებში“. საფრანგეთის ეროვნული კრების თავმჯდომარემ მიიღო ბ. არარქციანის მიწვევა ესტუმროს სომხეთს.

შეიძენენ თვითმფრინავებს

მალაიზია სწავლობს რუსეთისაგან მიგ-29 ავიაგამანადგურებელთა პარტიის შესყიდვის შესაძლებლობას. როგორც განაცხადა ოთხშაბათს ენ-ეიჩ-კეის ტელეკომპანიამ, ამ პროექტის რეალიზაციის გზაზე პირველი პრაქტიკული ნაბიჯი მიმდინარე წლის აპრილში გადაიდგა, როცა მალაიზიაში ჩაიტანეს ორი მიგ-29 მანქანა მათი გამოცდისა და ადგილობრივი სამხედრო მფრინავებისათვის ახალი ტექნიკის გაცნობის მიზნით.

თითო აბზაცით

კულიაბის ოლქისა და ტაჯიკეთის დედაქალაქის მიმდებარე კოჩირინხონის რაიონის საზღვარზე იქმნება ბუფერული ზოლი, რათა იქ დამაშორიშორებელი ძალების სახით შეიყვანონ რუსეთის ჯარების ქვედანაყოფები. ეს შეიტყო დღეს იტარ-ტასის კორესპონდენტმა მთავრობის წრეებთან დაახლოებული წყაროებიდან.

ესტონეთის პარლამენტში ფიცს დადებს მთავრობა, რომელიც პრემიერ-მინისტრმა მარტ ლაარმა შეადგინა. ახალი კაბინეტის შემადგენლობის შესახებ ბრძანებულებას მოაწერა ხელი პრეზიდენტმა ლენარტ მერიმ.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი ფრედერიკ დე კლერკი პარლამენტის გადაწყვეტილების მიუხედავად აპირებს განახორციელოს ამნისტიის კანონპროექტი.

სალვადორის ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტმა საბრძოლოდ გაამზადა თავისი ფორმირებანი, რათა „თავიდან აიცილოს პროვოკაციები ულტრამემარჯვენე ძალების მხრივ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ხანია, გელოდებათ ჩემი მოლბერტი!

ნანა ღვინეფაძე

არიან ადამიანები, რომელთა სახის გამოძერწვა ძნელიც არის და ადვილიც! პარადოქსია?!

ასეთად მესახება საჩინო ქართველი მოქანდაკე, საქართველოს სახალხო მხატვარი ბიძინა ავალიშვილი, რომელსაც დიდი ხანია ვიცნობ, ვიცნობ კარგი ქართული სალმით, ღიმილით, და რა თქმა უნდა, შემოქმედებით, მაგრამ სასაუბროდ მხოლოდ ამ ზაფხულს შევხვდი. ალბათ კანონზომიერიც იყო — წლეულს მას იუბილარი ეთქმის, თუმცა ესეც რომ არა, უკვე კარგახანია შინაგანად განწყობილი ვიყავი საამისოდ.

ალბათ, ცოტაა ისეთი თბილისელი, რომლისთვისაც, ახლობლობას რომ თავი დავანებოთ, უცნობი იყოს ბიძინა ავალიშვილი. შვიდი ათეული წელი ზოგიერთისთვის მძიმე ტვირთია, ის კი ძველებურად შემართული და ნირშეუცვლელი დადის და იმ დროს გაგონებთ, როდესაც ბესიკობდა!

ახლა მის სამუშაო ოთახში ვზივართ, ვაჟას, ილიას, ივანე ჯავახიშვილის, იაკობ ნიკოლაძის გარემოცვაში — ესენი მისი სათაყვანებელი პიროვნებები არიან. ბესიკიც აქვეა... უჩა ჯაფარიძის სიყვარულიანი წარწერით. საინტერესო დეტალია: ბატონმა უჩამ თავის ორ სტუდენტს, ორ ჭაბუკს დაადგა თვალი — ერთში მან ბესიკი ცნო, მეორე კი, ზურაბ ლექავა, დავით გურამიშვილად წარმოიდგინა და შესხა კიდეც ხორცი ჩანაფიქრს: ასე შეიქმნა მხატვრის ორი ცნობილი ფერწერული ტილო.

— დიდხანს გხატავდათ?

— არც ისე, რამდენჯერმე ვიყავი, მერე თავად გააგრძელა, ქულაჯაც თვითონ ჩამაცვა...

საამოა სიჭაბუკის გახსენება — იმ ფოტოსურათშიც სრულიად ახალგაზრდაა, გალაკტიონთან რომაა გადაღებული — პოეტის პორტრეტს ძერწავს.

— ორ გოლიათთან მაქვს გადაღებული სურათი — მიჩვენებს ბატონი ბიძინა სახელოსნოში მუშაობის დროს გალაკტიონთან და სანდრო კანდელაკთან გადაღებულ ფოტოსურათებს.

— ძნელი იყო გალაკტიონთან მუშაობა?

— პირიქით, ეხალისებოდა კიდეც, ოღონდ შინიდან მე უნდა მომეყვანა ხოლმე, დავსვამდი მიჩენილ ადგილზე, ერთ ბოთლ ღვინოსაც დავუდგამდი მცირე საუზმით, დროდადრო თავის შესაქცევად და ასე შევეყოლიებდი.

— გმადლობთ, ვეფხვო, — მეტყოდა ნასიამოვნები. რა ვეფხვი მე ვიყავი, მაგრამ უყვარდა ეს გამოთქმა.

... რას იფიქრებდა მაშინ პოეტი, რომ სამუდამო ძეგლს მთაწმინდაზე ამაღლების შემდგომ, ეს „ვეფხვი" დაუდგამდა. ბიძინა ავალიშვილისეულია საჩინოში, სოფელ ჭყვიშში რიონის პირას რომ ზიასური ძეგლია (1982 წ. ბრინჯაო, 4,60)! მისივე მარჯვენამ გამოაქანდაკა გალაკტიონის პორტრეტები ბაზალტში, ქუთაისს რომ ამშვენებს. ბრინჯაოს მონუმენტური პორტრეტი კი 1980 წელს დაიდგა ქალაქ ბათუმში.

ხოლო ის, თავდაპირველი და უშუალოდ პოეტის პირისპირ დგომით შექმნილი — ნატურიდანო, როგორც იტყვიან თვითონ მხატვრები, ხეში ნაკვეთი (1 1/5), საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის კუთვნილებაა (1953 წ.).

სწორედ ხეში კვეთა იყო ბიძინა ავალიშვილის უპირველესი მოწოდება. ხეში კვეთით იწყება მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია 1946 წლიდან, სამხატვრო აკადემიის სტუდენტი რომ იყო, მაგრამ ბავშვობაშივე ნაცადი ჰქონდა ხელი გამოჩუქურთმებაში მამისეული იშვიათი იარაღების მეოხებით, უცხოეთიდან რომ ჩამოუტანია ვაჟისთვის ცნობილ მოღვაწეს, სამოციანელთა პლეადის ერთ-ერთ სახელოვან წარმომადგენელს ნიკო ავალიშვილს, და მერე შვილიშვილის გატაცების საგნად იქცა.

ლირიკული გადახვევა: ნიკო ავალიშვილი ერთ-ერთი გამოჩენილი პიროვნებაა ავალიშვილთა საგვარეულოში. ეს გვარი განსაკუთრებით წარმოჩნდა მე-18 საუკუნეში ერეკლე მეორის კარზე. საკმარისია დავასახელოთ დიპლომატი და ერეკლეს კარის თეატრის მოამაგეთაგანი, დრამატურგი გიორგი ავალიშვილი, რომლის და, მაია, პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის დედა იყო. გიორგის უმცროსი თანამედროვეა ასევე ცნობილი პიროვნება — ივანე ავალიშვილი.

— ჩვენი წინაპრები წარმოშობით ქართლიდან, ბორჯომის ხეობიდან არიან, — მიამბობს მასპინძელი, ბრეთშია მათი ფუძე, ხოლო შემდეგ იქიდან გადასულან კახეთში და, როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოშიც. ჩვენ უშუალოდ იმ სამი ძმის განშტოებად ვითვლებით, ერეკლე მეფის საწინააღმდეგო შეთქმულების მონაწილენი რომ ყოფილან და გამჟღავნების შემდეგ თბილისში გამოქცეულან. აქ ქაიხოსროს, დავითს და ზაქარიას ერთხანს გვარშეცვლილადაც კი უცხოვრიათ (თეთრაძეებად) და შეშის გაყიდვით ურჩენიათ თავი. მოგვიანოდღაა დაუბრუნებიათ მამა-პაპური გვარ-წოდება, პრივილეგიური გვარების აღწერისას.

ჩანს, ძმები ავალიშვილების განდგომის მიზეზი იგივე სატკივარი იყო, რამაც დააწერინა შემდგომ ნიკოლოზ ბარათაშვილს პოემა „ბედი ქართლისა"...

და ახლა, დიდებულ წინაპართა ფრესკის ფონზე, რომელშიც კიდევ მეორე სამეულის, მოსკოვის კრემლის გიორგის დარბაზის კედელზე ჩამოწერილ წმინდა გიორგის ჯვრის სრული კავალრების გრძელ სიაშია ჩამოთვლილი ავალიშვილებიც (ავალოვ) ილანდებიან, ბიძინა ავალიშვილის იერიც უფრო სხვაგვარად მესახება, — კიდევ უფრო ამაყი და რაინდული, ძირფესვიანად ქართული: „ავალი, ან „ავალა" წმინდა ქართულიაო, — ბრძანებს თავის მონოგრაფიაში ნიკო ავალიშვილის შესახებ ბატონი სოლომონ ცაიშვილი, — მისი შესატყვისია სავალი, სამოქმედო არე, გასაქანი და ილია ჭავჭავაძის გამოთქმასაც იმოწმებს: ამა და ამ მოვლენას „დიდი ავალა მიეცემაო".

... დიდი ავალა, დიდი გასაქანი... წინაპართა კვალობაზე ბიძინა ავალიშვილის შემოქმედებასაც დიდი ავალა, გასაქანი ანუ ასპარეზი მიეცა თავიდანვე და ეს ასპარეზი მას თვით ქართული ქანდაკების მამამთავარმა იაკობ ნიკოლაძემ დაულოცა.

...ოღონდ საუბრის დროს კარადიდან ჩემს წინ მაგიდაზე რომ გადმოინაცვლა ნიკო ავალიშვილის მიერ თარგმნილმა წიგნებმა, მათ შორის „დონ კიხოტმა", ჩვენ იმდენჯერ დავუბრუნდით მის მთარგმნელობით, პუბლიცისტურ თუ თეატრალურ მოღვაწეობას, რომ ბატონმა ბიძინამ იხუმრა: ბოლოს თქვენი წერილი, ალბათ, პაპაჩემს მიეძღვნებაო (არც უამისობაა, ამიტომაც გადავუხვიე წარსულში)...

... **ქანდაკება** რააო და... ზედმეტი ქვის მოცილებაო — ხუმრობენ მოქანდაკეები.

აი, სწორედ ამ „ზედმეტის" მოცილებაშია მთელი საიდუმლო, მთელი ოსტატობა, და ამიტომაც საინტერესო დასაწყისი — როცა მამისგან ათვისებულ ჩუქურთმების კვეთას ბარელიეფის გამოკვეთის სურვილი შეენაცვლა. ეს მოწაფეობაშივე მოხდა — შეარჩია კაკლის ხე და რუსთაველის ბარელიეფი გააკეთა. მისი ქმნილებების სიაში ამ ნამუშევარს ვერ შეხვდებით (მეუღლემ, ქალბატონმა ვერამ მაჩვენა, ჩვენი ქორწინების აღსანიშნავი საჩუქარიაო), მაგრამ ჭაბუკმა არჩევანი მაშინ გააკეთა!

— ხეზე მუშაობა ბავშვობიდანვე შემიყვარდა და დღესაც ჩემი საყვარელი მასალაა, თუმცა ეს არ გამორიცხავს ქვასა და ბრინჯაოს.

პორტრეტი წინაპართა ფრესკის ფონზე



— ყველაზე მეტად ხის რომელი ჯიშია სახარბიელო?

— უმთავრესად კაკალი, მაგრამ მსხალიც კარგია და, თქვენ წარმოიდგინეთ, აკაციაც. ერთი სიტყვით, რაც უფრო მაგარია ხე, უკეთესია.

...აკაცია, აბანოზი, ეს მერქანზე ხე ოდითგან ნაცადი და ნაქებია. მის ქებას ქართულ ზეპირსიტყვიერებაშიც შეხვდებით.

— ძელქვა ხომ არ გიცდიათ?

— ძელქვა, იცოცხლეთ, კარგია, მაგრამ სამუშაოდ ხელთ არ ჩამივარდნია.

თბილისის სამხატვრო აკადემიაში 1941 წელს შედგა ფეხი ბიძინა ავალიშვილმა და თავდაპირველად სილოვან კაკაბაძესთან და კოტე მერაბიშვილთან ეზიარა ქანდაკების ხელოვნების საიდუმლოებას. ნიკოლოზ კანდელაკის სახელოსნოს ხშირი სტუმარიც იყო. და თუმცა ყოველ მათგანს ემადლიერებოდა, მესამე კურსიდან იაკობ ნიკოლაძის კლასზე შეაჩერა არჩევანი.

— როგორი პიროვნება იყო?

— არ დამავიწყდება, ომის იმ მძიმე წლებში აკადემიაში ღუმელი გვენთო ხოლმე. ბატონ იაკობს შინიდან მოჰქონდა ხმელა პური, გახუხავდა და ეს იყო მისი საკვები. რაც შეეხება პედაგოგობას, — მკაცრი!

— მაინც?

— ცერად შეხედავდა თიხაში გამოძერწილ პორტრეტს, არ მოერისო, — იტყოდა და ბზის სტეკით ულმობლად ჩამოათლიდა ცხვირპირს...ბიჭი ვიყავი და არ დაფიქრდებოდი, როგორ „აგემღერებია" შენი ნახელავი, მეორე დღეს მოვიდოდა და ახლა კარგიაო, — გულს გაუკეთებდა შეგირდს. აკადემია აკადემიაა, მაგრამ მე მასთან სახელოსნოში სიარულით გაცილებით მეტი ცოდნა მივიღე. იქ შავ სამუშაოსაც არ ვერიდებოდი, ხან თიხას ავუწყობდი, რან რაზე მივეშველებოდი, ხანაც რაზე და თან უამრავ საინტერესო ამბებს მიამბობდა როდენზე, შემდეგ წიგნადაც გამოსცა მოგონებები.

ბიძინა ავალიშვილის ნამუშევრების ალბომში ერთ გაყვითლებულ ფურცელს წავაწყდი, რომელიც ცოცხალი ადამიანივით ამეტყველდა:

„დიპლომანტ ავალიშვილ ბიძინა გიორგის ძეს სადიპლომო შრომად წარმოდგენილი აქვს ქართველი კლასიკოსის „ვაჟაფშაველას" პორტრეტი კაკლის ხეში.

მოცემული შრომა ადასტურებს დიპლომანტის უდავო ნიჭს მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად. ამასთანავე იგი კარგადაა დაუფლებული ხის გამოთლის რთულ ტექნიკას. შრომა როგორც კომპოზიციურად, ისე ტექნიკური შესრულებით მაღალ მხატვრულ დონეზე დგას. ვაჟას გამომეტყველება გამოხატავს მოაზროვნე და ფილოსოფიურად განწყობილ მთიულ დიდ პოეტს — რაც ავტორის უდავო გამარჯვებაა. არ შეიძლება გვერდი ავუხვიოთ მეორე, შემდეგ ნამუშევარს ამავე თემაზე შესრულებულს, სადაც ვაჟა გამოსახულია ბარელიეფში. მასალა კვლავ კაკლის ხეა.

ამ შრომაზეც იგივე თქმა შეიძლება, რაც პირველზე ითქვა. დიპლომანტ ავალიშვილის ორთავე შრომა შესრულებულია ფრიადზე.

ხელმძღვანელი პროფესორი
ი. ნიკოლაძე
1947 წ. 27. VI

საყურადღებოა ისიც, რომ „ფრიადი" მთავრული ასოებითაა ჩაწერილი; ასე რომ, ამ მოკლე დასკვნაში მკაფიოდ და ამომწურავად არის დახასიათებული ახალგაზრდა ხელოვნის ღირსებაც და თავისებურებაც.

ნაშრომის სიკეთესთან ერთად სწორედ ეს დახასიათება გახდა საფუძველი იმისა, რომ რესპუბლიკურმა გაზეთებმა ერთხმად აღიარეს, ბიძინა ავალიშვილის სადიპლომო შრომამ უმაღლესი შეფასება დაიმსახურაო. მით უმეტეს, რომ ეს იყო ხეში გამოკვეთილი პირველი მრგვალი ქანდაკება საქართველოში.

დროთა განმავლობაში ბიძინა ავალიშვილის შემოქმედებაში თავს იჩენს მონუმენტურობისაკენ სწრაფვა, რაც ერთგვარად ბალადურ ხასიათს ანიჭებს მის ქმნილებებს. არაერთხელ უბრუნდება გალაკტიონს და ვაჟას —1982 წლის ზაფხულზე ქუთაისში ერთდროულად გაიხსნა ვაჟას და გალაკტიონის ბაზალტის ძეგლები.

ვაჟა თითქოს მისი სისხლი და ხორცია!

1987 წელს, პოეტის დაბადების 125 წლისთავზე ჩარგალში იხსნება მემორიალი, რომლის ავტორები არიან საქართველოს სახალხო მხატვარი ოთარ ლითანიშვილი და არქიტექტორი ავთანდილ გურული. მემორიალს აგვირგვინებს ბიძინა ავალიშვილის მიერ გამოქანდაკებული ვაჟას გოლიათური თავი (5 მ.)

აბა, მოვთვალოთ, კიდევ „რამდენი" ვაჟა შეუქმნია მის მარჯვენას იმ პირველი წარმატების შემდეგ: ისევ ხეში თუ სხვა მასალაში ბარელიეფები (1948-49 წ.წ.), ეკლარის ქვაში (2, 5 მ) 1948-49 წ.წ.) დუშეთშია), 1958 წელს ბათუმში დაიდგა ვაჟას ბრინჯაოს, ხოლო თიანეთის მუზეუმში—მარმარილოს პორტრეტები (1961 წ.) მარმარილოსია თბილისის უნივერსიტეტის ვაჟა-ფშაველაც (1961 წ.). იმავე წელს ვაჟას ბრინჯაოს პორტრეტი დამკვიდრდა ჩარგლის სახლ-მუზეუმში. 1966-67 წლებშია შექმნილი პორტრეტი (თაბაშირი, ბრინჯაო), საქართველოს სურათების გალერეის კუთვნილება რომაა. ბოლო ხანს (ქუთაისი, ჩარგალი) განხორციელებული პორტრეტები უკვე ვახსენეთ!

ამიტომ გადაჭარბებულად არ მიმაჩნია ზემოთ გამოთქმული აზრი: ვაჟა თითქოს მისი სისხლი და ხორცია!

ალბათ, არ დარჩენილა ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რომლის პორტრეტიც არ შეექმნას ბიძინა ავალიშვილს: ალექსანდრე ყაზბეგი (ხე), დანიელ ჭონქაძე, (ქვა), ვანო სარაჯიშვილი (ხე), მისეული ილია (ბაზალტი) საგურამოში, მცხეთაში, გზის პირზე რომ დგას ქვად ქცეული გოლიათი, სანდრო კანდელაკი, ყვარელში და მთაწმინდაზე კოტე მარჯანიშვილის პორტრეტები, ფიროსმანი ხეშიც და ბრინჯაოშიც.

სია გრძელია, 80-იან წლებში იგი ქმნის კინოსტუდია „ქართული ფილმისათვის" მთელ პანთეონს.

—...მაგრამ, არც ერთი ქალი?!

— ქალი? — ოდნავ შეყოვნდა.

— ქალი ისეთი ნაზი არსებაა და რთულიც, არასოდეს არ გამომითლია, მეუღლის პორტრეტიც კი არ გამიკეთებია. აკადემიის პერიოდის ნატურიდან ჩანახატებს, ცხადია, არ ვთვლი...

— უცნაურია, არა? მაგრამ ამაშიც ჩანს ხელოვნის თავისებურება, მას გარეგნული და შინაგანი ძალა იზიდავს. ეს კი მონუმენტურობისაკენ უბიძგებს, ამ სახედველში ქალის იერსახე აღარ თავსდება.

— რას გვპირდება მოქანდაკე?

— ჩამოსხმულია ბრინჯაოში ექვთიმე თაყაიშვილის ფიგურა. და მალე ვერის პარკის წინა მოედანზე დაიდგმება. კვარცხლბეკის ავტორია არქიტექტორი მიხეილ ყურაშვილი. დადგა დრო, ნეტარხსენებულ რეზო თაბუკაშვილის თხოვნა შევასრულო — ერთად მეწვიეს ის და ჯანსუღ ჩარკვიანი მიხეილ თამარაშვილის ძეგლის თაობაზე. ალბათ, მალე შევუდგები მუშაობას.

ამ ზაფხულზე, აკაკის დაბადების 150 წლისთავთან დაკავშირებით მისივე სახელობის პროსპექტის დასაწყისში დაიდგა ბიძინა ავალიშვილის ნაძერწი აკაკის ძეგლი. ორი წელი ელოდა ეს ძეგლი აღმართვას და აი, დაგვიანებული, მაგრამ მაინც საიუბილეო დღე — 20 ივნისი. 1988-89 წლებში ესკიზის ორი ვარიანტი შეიქმნა და საბოლოოდ გადაწყდა დამჯდარი ფიგურა ჩანგით ხელში!... და ახლაც, ბრინჯაოს ამ ოთხმეტრიანი ქანდაკებისთვის რომ შეეხედა ოსტატს, „მღერისო" — იტყოდა, და მერამდენედ შეაფასებდა „ფრიადზე" ბიძინა ავალიშვილის მადლიანი მარჯვენის ნაყოფს.

მარიამობისთვის 30. 1992 წ.

მოკლე-ინფორმაცია

ათჯერ ნაკლები

ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემების მასობრივი გამოშვება დაიწყეს რუსთავის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ავტომატმრეწველში". მათი დახმარებით ორი-სამი ოპერატორი რამდენიმე წამში შეასრულებს სამუშაოს, რომელსაც წინათ 10-12 კაცი 4-5, ზოგჯერ კი მეტ საათსაც ანდომებდა. ეს სისტემები ფართოდ გამოიყენება მეტალურგიული ქარხნის საგლინავ და მისაგლინავ საამქროებში.

მაინც ამზადებენ

დიდი ხნის იძულებითი შესვენების შემდეგ ქართველმა ელმავალმშენებლებმა კვლავ დაიწყეს თავიანთი ძირითადი პროდუქციის გამოშვება. ახლა აქ ყოველთვიურად სამ-ოთხ ელმავალს აწყობენ, თუმცა შეუძლიათ თერთმეტ-თორმეტის დამზადება: აკლიათ მაკომპლექტებელი დეტალები.

რა გვაქვს, რომ ისიც დავკარგოთ?

შულავერის მატყლის პირველადი დამუშავების ფაბრიკა მხოლოდ ერთი მეექვსედითაა დატვირთული: აკლიათ ნედლეული. კილოგრამ მატყლს აქ 300 მანეთად იბარებენ. სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ჩამოსული დამზადებლები კი გაცილებით ძვირად და ნაღდ ფულზე ყიდულობენ.

ფაბრიკა ცხვარივით მატყლგაპარსული რჩება.

ტკბილი დაპირება

აჭარის საკონსერვო ქარხანამ პირველად დაიწყო ხილის ნახევარფაბრიკატების მომარაგება, რათა ჯემები და ხილფაფა გამოუშვას. ახალი მოსავლის ვაშლისაგან უკვე დაამზადეს პირველი ტონა ეს ყუათიანი კონცენტრატი.

წლის დამლევამდე მომხმარებლებს მიაწვდიან 140 მილიონ პირობით ქილა ხილის კონსერვებს.

ჩვენი ორკესტრი საზღვარგარეთ

ესპანეთში საგასტროლოდ გაემგზავრა ქუთაისის ოპერის თეატრის ორკესტრი. ორი თვის მანძილზე ქუთაისელი მუსიკოსები კომერციულთან ერთად საქველმოქმედო კონცერტებსაც გამართავენ ბასკეთისა და ესპანეთის სხვა მხარეების ქალაქებში, სასწავლებლებში.

გამარჯობა, კოლეგა!

Marihi INF

გამოვიდა ყოველკვირეული საინფორმაციო-ეკონომიკური გაზეთის „მარიხის" პირველი ნომერი. დამფუძნებელია გამომცემლობა „მარიხი", მთავარი რედაქტორი — თამაზ სულაძე, თემატიკა — მრავალსახეობა ეკონომიკისა, ფასი — 580 კაპიკი.

ან მოწყალება, ან...

„ქუჩის სოციოლოგები" ამტკიცებენ, რომ თბილისელი პროფესიონალი მათხოვრების წლიური შემოსავალი ქუჩის ქურდების შემოსავალს არათუ არ ჩამოუვარდება, ჭარბობს კიდეც.



მხატვარმა თეიმურაზ ფაფარაშვილმა ამ „სოციალური ფენომენის" თავისეული ახსნა შემოგვთავაზა.

„ვარსკვლავთცვენა" ბათუმში

აჭარის დედაქალაქში გაიხსნა ტრადიციული ფესტივალი „ბათუმის შემოდგომა". ბათუმელებსა და სტუმრებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ზურაბ სოტკილავასთან, ნაირა გლუნჩაძესთან და ალეკო ხომერიკთან შეხვედრებმა, რომლებმაც კონცერტი გამართეს ილია ჭავჭავაძის სახელობის თეატრში. მათთან ერთად გამოდიოდნენ ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეები, რომლებიც შეარჩია ზურაბ სოტკილავამ.

ეროვნული კულტურის თვალსაწიერი

პულტთან ვახტანგ მაჭავარიანია

ქართველი დირიჟორის წარმატება

უკვე მივაჩვიეთ ყური ქართველი შემსრულებლების წარმატებებს საზღვარგარეთ. არადა, ეს წარმატებები იოლად როდი მოდის, ხელის მოხვევას დიდი ძალისხმევა და შრომა სჭირდება. ძნელია მრავლისმნახველი, განებივრებული საზღვარგარეთელი მსმენელი რაიმეთი გააკვირვო, თუ არა ნამდვილი, ჭეშმარიტი ნიჭით. ერთი მათგანი, ვინც გაიტანა ქართული მუსიკალური საშემსრულებლო სკოლის სახელი ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, დირიჟორი ვახტანგ მაჭავარიანია. მუსიკისმოყვარულებმა მისი წარმატებების ამბავი ამ ბოლო დროს მხოლოდ პრესის ან ტელევიზიის საშუალებით იციან. საქმე ის არის, რომ უკვე რამდენიმე წელიწადია ქართველი დირიჟორი პარიზში ცხოვრობს და აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა, ბევრს მოგზაურობს მსოფლიოს ქვეყნებში და დამსახურებულ აღიარებას აღწევს. მარტო ის რად ღირს, რომ ამ ცოტა ხნის წინათ ლონდონის საქვეყნოდ ცნობილ „როიალ ალბერტ ჰოლში" მსმენელები ფეხზე ამდგარი უკრავდნენ ტაშს ვახტანგ მაჭავარიანს. სხვათა შორის, მუსიკალური კლასიკის შედევრებთან ერთად აქ აჟღერდა სამი ნაწყვეტი ალექსი მაჭავარიანის ბალეტიდან „ოტელო", რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

ამას წინათ კი გერმანიაში, ცნობილმა მუსიკალურმა კრიტიკოსებმა დიდი შეფასება მისცეს ვახტანგის საშემსრულებლო ხელოვნებას, რომელმაც ქალაქ ვისბადენის „ტიორშ ზაალში" სახელმწიფო ორკესტრთან და გუნდთან ერთად შეასრულა ვერდის „რეკვიემი". გაზეთი „ვისბადენ კურიერი" წერდა, რომ „დირიჟორის ალღომ და პათოსისა და ეფექტებისკენ მიდრეკილებამ მსმენელები მოხიბლა და ენთუზიაზმით სავსე „ბრავოს" ძახილითა და მქუხარე ტაშით დააჯილდოვა იგი".

1-7 ნოემბერს საფრანგეთის ქალაქ სენტ-ეტიენის გარეუბანში — მონტოში, ფრანგული მუსიკის კლასიკოსის ჟიულ ემილ მასნეს სამშობლოში, გაიმართება მასნეს ფესტივალი. იგი ეძღვნება კომპოზიტორის დაბადების 150 წლისთავს. წლეულსვე შესრულდა ამ უდიდესი მუსიკოსის გარდაცვალების 80 წლისთავი. მსმენელები ამ პრესტიჟულ ფესტივალზე სახელმწიფო ორკესტრის სადირიჟორო პულტთან იხილავენ ვახტანგ მაჭავარიანს.

იანვარში ხელოვანი თბილისში გამართავს ორ კონცერტს, რომელსაც იგი მიუძღვნის საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში დაღუპულ ქართველ ვაჟკაცთა ხსოვნას.



გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა · ფაქტი · კომენტარი

ომის ვეტერანთა კომიტეტის ახალი თავმჯდომარე

გაიმართა საქართველოს ომის ვეტერანთა რესპუბლიკური კომიტეტის გაფართოებული სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი რესპუბლიკური კომიტეტის გარდაცვლილი თავმჯდომარის მაგიერის არჩევისა. მას შემდეგ, რაც სხდომის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით ერთხელ კიდევ პატივი სცეს გამოჩენილი მხედართმთავრის — გენერალ-ლეიტენანტისა და აკადემიკოსის ირაკლი ჯორჯაძის ხსოვნას, სხდომა შეუდგა თავმჯდომარის კანდიდატურის განხილვას. საქართველოს ომის ვეტერანთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა გადამდგარი პოლკოვნიკი, გენერალური შტაბის ყოფილი თანამშრომელი, თვალსაჩინო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე აკადემიკოსი გიორგი ციციშვილი.

ახალმა თავმჯდომარემ აღუთქვა სხდომას, რომ გაამართლებს ამომრჩეველთა ყველა იმედს და გაუძღვება დღევანდელ რთულ ვითარებაში კომიტეტისა და მისი დაქვემდებარებული ორგანიზაციების მუშაობის გააქტიურებას და ახალ დემოკრატიული საქართველოს შენებაში ღირსეული წვლილის შეტანას.

გაზსადენი პარალიზებულია, მაგრამ პურის ქარხნები მუშაობს

ქალაქ მოზდოკის რაიონში მაგისტრალური გაზსადენის ძლიერი დაზიანების გამო ჩრდილოეთ კავკასიიდან ბუნებრივი გაზის მოწოდების შეწყვეტას გავლენა არ მოუხდენია პურის საცხობ საწარმოთა ენერგომომარაგებაზე. სხვა არხებით სათბობის მიღების წყალობით, ისინი, როგორც რესპუბლიკის კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ომარ კაციტაძემ თქვა, გათვალისწინებული რეჟიმით მუშაობენ და სავაჭრო მაღაზიებში გაცილებით მეტ პურს გზავნიან, ვიდრე გასული წლის შესაბამის ვადებში. მაგალითად, თბილისში საშუალოდ დღე-ღამეში ახლა 550 ტონაზე მეტი პური ცხვება. ერთი წლის წინათ ეს მაჩვენებელი 100-110 ტონაზე ნაკლები იყო.

„თბილისპურში" მიღებული მონაცემების თანახმად, ამ გაერთიანების საწარმოები პროდუქციის ბუნებრივი გაზის სრული შეწყვეტის შემთხვევაშიც გამოუშვებდნენ. აქ მომარაგებული სარეზერვო სათბობი, მათ შორის ლუმლისაც, საკმარისია სახაბაზოების ნორმალური მუშაობისათვის დროის გაცილებით ხანგრძლივ პერიოდში, ვიდრე ეს სჭირდება დაზიანებული გაზსადენის შეკეთებას.

ამავე დროს რიგები პურის მაღაზიებთან კვლავ მატულობს. რა ხდება? გაერთიანებაში განგვიმარტეს, რომ სავაჭრო ობიექტებში ღამით მიტანილი პური ძირითადად მაშინვე იყიდება. დღისით პროდუქციის გატანა ძნელდება იმის გამო, რომ დიდძალი ხალხი იყრის თავს, მეტწილად არაქალაქელები, პურის საცხობ საწარმოებთან. ობიექტების დასაცავად აშკარად არ არის საკმარისი ძალები. ამის შედეგად ვერ სრულდება ვაჭრობის განაცხადების გრაფიკები, ნერვიულობენ როგორც მწარმოებლები, ასევე მომხმარებლებიც.

„თბილისპურის" სპეციალისტებმა გვაცნობეს, რომ პურის ვაჭრობაში წესრიგის დასამყარებლად პრაქტიკულ ღონისძიებებს ახორციელებს დედაქალაქის მერია.

ვალერიან ბაზუაძე.

სპორტი

მეთერთმეტე ყაიმი

ბელგრადში გაიმართა ფიშერ-სპასკის საუკუნის მატჩის 23-ე პარტია. 8-საათიანი ბრძოლის შემდეგ, მე-80 სვლაზე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ანგარიში ძველებურია — 8:4 ამერიკელი დიდოსტატის სასარგებლოდ.

გუშინ სპასკის ავადმყოფობის გამო 24-ე პარტია არ შედგა.

პირველი რაუნდი

პოპულარული ევროპული საკლუბო საფეხბურთო ტურნირების მეორე წრის პირველი მატჩები, რომლებიც გასულ ოთხშაბათს გაიმართა, ასეთი შედეგებით დასრულდა.

ჩემპიონთა თასი: მოსკოვის ცსკა — ესპანეთის „ბარსელონა" — 1:1, შვეიცარიის „სიონი" — პორტუგალიის „პორტო" — 2:2, ბელგიის „ბრიუგე" — ვენის „აუსტრია" — 2:0; ბუქარესტის „დინამო" — მარსელის „ოლიმპიკი" — 0:0, შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსი" — ინგლისის „ლიდს იუნაიტედი" — 2:1; ბრატისლავის „სლოვანი" — იტალიის „მილანი" — 0:1; ათენის „აეკი" — ჰოლანდიის „ეინდჰოვენი" — 1:0; შვედეთის „გეტებორგი" — პოზნანის „ლეხი" — 1:0.

თასების მფლობელთა თასი: თურქეთის „ტრაბზონსპორი" — მადრიდის „ატლეტიკო" — 0:2; დანიის „ორჰუსი"— ბუქარესტის „სტიაუა" — 3:2; ავსტრიის „ადმირა-ვაკერი" — ბელგიის „ანტვერპენი" — 2:4; შვეიცარიის „ლუცერნი" — როტერდამის „ფეიენოორდი" — 1:0; ბრემენის „ვერდერი" — პრაღის „სპარტა" — 2:3; საფრანგეთის „მონაკო" — პირეოსის „ოლიმპიაკოსი" — 0:1; იტალიის „პარმა" — პორტუს „ბოავიშტა" — 0:0; მოსკოვის „სპარტაკი" — ინგლისის „ლივერპული" — 4:2.

უეფას თასი: მადრიდის „რეალი" — მოსკოვის „ტორპედო" — 5:2; ბრიუსელის „ანდერლეხტი" — კიევის „დინამო" — 4:2; იტალიის „ნაპოლი" — საფრანგეთის „პარი სენ-ჟერმენი" — 0:2; ჰოლანდიის „ვიტესი" — ბელგიის „მეჰელენი" — 1:0, მაინის ფრანკფურტის „აინტრახტი" — სტამბოლის „გალათასარაი" — 0:0; შოტლანდიის „ჰარტსი" — ლიეჟის „სტანდარტი" — 0:1; საფრანგეთის „ოსერი" — დანიის კბ „კოპენჰაგენი" — 5:0; ლისაბონის „ბენფიკა" — უნგრეთის „ვაცი იზო" — 5:1, სტამბოლის „ფენერბახჩე", ჩეხეთ-სლოვაკეთის—„სიგმა" — 1:0; იტალიის „რომა" — ციურიხის „გრასჰოპერსი" — 3:0; პორტუგალიის „ვიტორია" — ამსტერდამის „აიაქსი" — 0:3.

კოპენჰაგენის „ფრემისა" და სარაგოსის „რეალის", იტალიის „ტორინოსა" და მოსკოვის „დინამოს" შეხვედრები გუშინ გაიმართა და გვიან ღამით დამთავრდა.

თავდაცვის ფონდში

ქუთაისელმა ავტომშენებლებმა ქალაქის გამგეობასთან შექმნილ რესპუბლიკური თავდაცვის შტაბს 250 ათასი მანეთი გადასცეს. 100 ათასი მანეთი ეროვნული არმიის ფონდშია ჩარიცხული; რესპუბლიკის სამხედრო ნაწილებს შეუკეთეს საბრძოლო ტექნიკა და უსასყიდლოდ გადასცეს მათთვის საჭირო 450 ათასი მანეთის სამარაგო ნაწილები. 300 ათასი მანეთი კი შინაგან საქმეთა სამინისტროს ქუთაისის სამმართველოს ანგარიშზე გადარიცხეს.

უსასყიდლო პრივატიზების მომხრეთა საყურადღებოდ!

პრივატიზების მხოლოდ სერტიფიკატებით, ანუ უსასყიდლოდ ჩატარების მხარდამჭერთა მოძრაობა მიმართავს თავის მომხრეებს, რომ მოავლინონ თავიანთი რწმუნებულები მოძრაობის ცენტრალურ საბჭოში შემდეგი მისამართით: რუსთაველის პროსპექტი, № 37. ტ. 98-78-49, 98-81-86.

ხსოვნა

გურამ ჩუბინიძე

საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგთა ოჯახს მოულოდნელად გამოაკლდა თვალსაჩინო ინჟინერ-გეოლოგი გურამ ჩუბინიძე. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს შავიზღვისპირეთის გეოლოგიური გარემოს დაცვისა და რაციონალურად ათვისების საკითხთა შემუშავება-გადაწყვეტის საქმეში, ქ. თბილისის ტერიტორიის განაშენიანება-ათვისების პრობლემების დამუშავებაში. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი დიდი როლი სომხეთის რესპუბლიკაში დატრიალებული ტრაგედიის დროს მიწისძვრის შედეგად დაზიანებული დასახლებული პუნქტების აღდგენა-აღორძინებაში, სამაჩაბლოში განხორციელებულ სამუშაოებში.

ბატონ გურამ ჩუბინიძეს მაღალ პროფესიონალიზმთან ერთად განსაკუთრებული ადამიანური თვისებები ჰქონდა. დიდი [illegible] აკავშირებდა დიდთან თუ პატარასთან, იგი განურჩევლად ხიბლავდა ყველას.

ჩვენო საყვარელო ძმაო და მეგობარო გურამ, უდროოდ, ტრაგიკულად დაშორდი ულამაზეს თბილ ოჯახს — მეუღლეს, შვილებს და შვილიშვილებს, შენს კოლეგებს, მაგრამ სულიერად მუდამ იქნები ჩვენთან, რადგან შენი რაინდული შემართება, გულკეთილობა და კაცური კაცობა არასოდეს დაიკარგება უკვალოდ.

საქართველოს რესპუბლიკის გეოლოგიის, გეოდეზიის და კარტოგრაფიის დეპარტამენტი; საქართველოს გეოლოგთა საზოგადოება; საინჟინრო გეოლოგიის, საინჟინრო გეოეკოლოგიის და ჰიდროგეოეკოლოგიის სამმართველოები.

კობა ქავთარაძე



აფხაზეთში, სოხუმის მისადგომებთან გმირულად დაიღუპა კობა ქავთარაძე.

კობა დაიბადა 1966 წელს გარდაბნის რაიონში. იგი იყო რუსთავის ბატალიონის მებრძოლი. ჯერ კიდევ სამაჩაბლოში ბრძოლის დროს ისახელა თავი, ხოლო სექტემბრის დამდეგს ძმასთან ერთად მოხალისედ წავიდა და ჩაება აფხაზ სეპარატისტებთან ბრძოლაში და შეეწირა კიდეც.

წავიდა და დიდი სევდა, გულისტკივილი დაუტოვა ახლობლებს, მეგობრებს, ოჯახის წევრებს.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრო.

ქალაქის მე-8 კლინიკური საავადმყოფო და თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის შინაგან სნეულებათა კათედრა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კათედრის ყოფილი გამგე, პროფესორი

გიორგი ნოეს ძე მხეიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო კონცერნი „საქავტოგზა" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის „საქსაგზაპროექტის" დირექტორის მოადგილე

ვაჟა ალექსანდრეს ძე ოჩიაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

○ მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
○ ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.